ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „განდი„ 8 ლარი – 21 მარტიდან 4 აპრილამდე

4 აპრილის შემდეგ „განდის“ ფასი 12 ლარი გახდება




სამშაბათი, 22 მარტი, 2011

№68 (5449)

ფასი: 30 თეთრი

# რუსები აფხაზებს გაგრასართმევენ



გვ.3

## სოროსი სააკაშვილს გადაეკიდა

უკვე გადაწყვეტილია, რომელ ოპოზიციურ ძალებს შეიყვანენ პარლამენტში



გვ.5



## რატომ არ აძლევენ აფხაზებს საქართველოს მოქალაქეობას

გვ.7



გვ.3

## შალამბერიძე ბურჯანაძეს ულტიმატუმს უყენებს



გვ.4

## კალმახელიძეს შავი ღრუბელი უახლოვდება



გვ.4

## დაგვასმევინეთ ძალოვანი მინისტრებისთვის კითხვები

პარასკევს პარლამენტში მთელი მთავრობა მივა



## დავით გარეჯს გადარჩენა სჭირდება!

გვ.2

## ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს გასაქანს არ გვაძლევენ



გვ.7

## 3090
### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

6 ისრაელმა ვერა ქობალიასაც უარი უთხრა

9 *თემურ ქეცბაია:* „ხორვატიასთან ქულაზეც კმაყოფილი ვიქნებით“

2 ნათელაშვილმა სააკაშვილის გადადგომა ამერიკიდან მოითხოვა

9 ჯოკოვიჩი ლიდერებს დაერია

# რა მოლაპარაკებები გაიმართა სახალხო კრებასა და ვეტერანებს შორის

ქეთი ხომერიკი

დღეს ოპოზიციაში ისეთი მდგომარეობაა, რომ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ოპოზიციური სპექტრი რამდენიმე ბანაკად არის გაყოფილი. ერთნი არჩევნებისთვის, მეორენი კი რევოლუციისთვის ემზადებიან. აი, მესამენი კი არც არაფრისთვის, კაბინეტებში თბილად სხედან და კოლეგა ოპოზიციონერების და ხელისუფლების კრიტიკაში კლავენ დროს. აი, მაგალითად: „სახალხო კრება" მშვიდობიანი რევოლუციისთვის ემზადება. კრება აღდგომის შემდეგ აქციების დაწყებას აპირებს, რომელიც, მათი თქმით, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა იქნება და მათი გამარჯვებით დასრულდება. მსგეფსის შემდეგ კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლა ხალხის დაკვეთაა, იმ ასეულობით ადამიანის, რომელიც „კრების" მხარდამჭერია, აცხადებენ, კრების წარმომადგენლები. და ჩვენ საზოგადოების ნებას აუცილებლად, აღვასრულებთ. კრების გვერდით უამრავი ადამიანი დგას და ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც ხელისუფლებას პოლიტიკურ სანაგვეზე გაუშვებს, აღნიშნავენ, კრების რიგებში შემავალი პოლიტიკოსები. არ ვიცი, შეიძლება მართლაც ჰყავს „სახალხო კრებას" უამრავი მხარდამჭერი, თუმცა, ამ უამრავ მხარდამჭერში აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტებში მონაწილე ომის ვეტერანები, რომ არ შედიან და არც შევლენ აი, ასეთ ინფორმაციას კი ვფლობთ.

„ახალი თაობის" კომპეტენტური წყაროს თქმით, „სახალხო კრებას"აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტებში მონაწილე ომის ვეტერანების გულის მოგება, მხარდაჭერის მოპოვება და მათი კრებაში გაერთიანება სდომებია და ამის მცდელობა ჰქონია კიდეც.

კრების წარმომადგენლები ამ ერთადერთი მიზნის სისრულეში მოსაყვანად ომის ვეტერანებს შეხვედრიან. ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო და მათაც სცადეს, თუმცა, როგორც წყარო გვატყობინებს, არ გაუმართლათ და მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. აი, რას გვიყვება წყარო. რამდენიმე დღის წინ „სახალხო კრების" ინიციატივით კრების წარმომადგენლების ომის ვეტერანებთან შეხვედრა დაგეგმილა. კრებას ვეტერანებთან შესახვედრად და მოსალაპარაკებლად რუსეთის მე-16 არმიასთან მებრძოლი გენერალი, „სახალხო კრების" წიაღში შექმნილი „შეფიცულთა რაზმების" ერთ-ერთი ლიდერი გია უჩავა და კიდევ რამდენიმე კრების რიგითი მხარდამჭერი გაუშვია. შეხვედრა ვაზიანში შემდგარა. ვაზიანში მისულ გია უჩავას გული კინაღამ გასკდომია, ვაი, ამას რას ხედავს ჩემი თვალებიო, თავში ხელები შემოურტყამს. 200 ვეტერანის ნაცვლად სულ რაღაც 20 ვეტერანი დახვედრია. დანარჩენები სად არიანო, სულ ეს ხართო, უკითხავს უჩავას ყოფილი თანამებრძოლებისთვის. რა დანარჩენები, ჩვენც, რომ მოვედით არ გიკვირსო, უთქვამთ ვეტერანებს. გისმენთ აბა, რატომ სურდა კრებას ჩვენთან შეხვედრა, რამ შეაწუხათო. კრებას თქვენი მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდებაო, გაერთიანდით კრებაშიო, უთქვამს უჩავას. ვეტერანების პასუხი ასეთი ყოფილა. „სახალხო კრებაში" მყოფ ადამიანებს, თქვენ, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს და სხვებს დიდ პატივს ვცემთ, მათი დიდი ხათრიც გვაქვს, თუმცა, ამის გამო კრებაში, ნამდვილად ვერ გავერთიანდებითო. რომ არა ნინო ბურჯანაძე კრებაში გაერთიანებას ვერც ვერავინ დაგვასწრებდა და სანამ თქვენ მოხვიდოდით და გვთხოვდით, მანამდე ჩვენ ასჯერ მოსულები და გაერთიანებული ვიქნებოდით კრების რიგებშიო. სადაც ნინო ბურჯანაძეა, იქ აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტებში მონაწილე ომის ვეტერანები არასდროს იქნებიანო. ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ვიბრძვოდით, რუსებმა ამოგვხოცეს და პუტინის ფავორიტ ბურჯანაძესთან უკაცრავად და რა უნდა გვესაქმებოდესო. ასეთი რამის თხოვნა თავში აზრად როგორ მოგივიდათო, გაოცებულან და გაბრაზებულან კიდეც ვეტერანები. აი, ასე გამოუსტუმრებიათ ვეტერანებს ყოფილი მხედრიონელი, მათივე თანამებრძოლი, ახლა კი „შეფიცულთა" ერთ-ერთი ლიდერი, გია უჩავა. უჩავა შერცხვენილი წამოსულა, დროც ტყუილა დაუკარგავს და სულ თავ-ბედი უწყევლია რა მინდოდა, სად მივდიოდიო, ირწმუნება წყარო. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ომის ვეტერანები ხელისუფლების მსგავსად ოპოზიციის ნაწილსაც მხოლოდ ერთ შემთხვევაში ახსენდება — როცა სჭირდებათ. ხელისუფლებას ისინი მხოლოდ არჩევნების წინ, ოპოზიციის ნაწილს კი დაანონსებული რევოლუციის წინ ახსენდება. როგორც დავინახეთ, „სახალხო კრებას" ვეტერანები, მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ გაახსენდა და მოინახულა, რომ მათი მხარდაჭერა დასჭირდა. პასუხად კი უკაცრავად ამ ნათქვამისთვის და თავი ხომ არაფერზე მიგირტყამთო, აი, ეს მიიღეს.

„ახალი თაობა" ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად „სახალხო კრების" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ალეკო ჩუბინიძეს დაუკავშირდა, რომელმაც გია უჩავასთან ვერ დაგვაკავშირა და ამ საკითხზე კომენტარი თავად მოგვაწოდა. „ბატონი გია ამ საკითხზე საუბარს თქვენთან ვერ მოახერხებს და კომენტარს თუ გნებავთ, მე მოგცემთ", — განგვიცხადა ჩუბინიძემ. „ახალი თაობა" ალეკო ჩუბინიძეს ესაუბრა.

— ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ ბატონი გია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებში მონაწილე ომის ვეტერანებს შეხვდა და „სახალხო კრებაში" გაერთიანება სთხოვა, ამაზე რას იტყვით, ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას?

— მოგეხსენებათ, რომ ბატონი გია თავად არის ვეტერანი და შესაბამისად, ომის ვეტერანებთან, თავის ყოფილ თანამებრძოლებთან ურთიერთობა აქვს. ისევე როგორც საზოგადოების ყველა სხვა სფეროს წარმომადგენლები, ომის ვეტერანებიც აქტიურად გამოთქვამენ „სახალხო კრების" გვერდით დგომის მზადყოფნას.

— ჩვენი წყაროს თქმით, მათ ბურჯანაძის ფაქტორის გამო კრებაში გაერთიანებაზე უარი თქვეს...

— პირიქით, ვეტერანთა გარკვეული ნაწილი ჩვენთან დღესაც იყო მოსული, რომელთაც „სახალხო კრების" გვერდით დგომის სურვილი გამოთქვეს.

# დავით გარეჯს გადარჩენა სჭირდება!

შორენა კოწოწაშვილი

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში საგანგაშო ინფორმაციები ვრცელდება. ორიოდე კვირის წინ გავრცელდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის კომენტარი, სადაც ნიკა ვაჩეიშვილი გარეჯელი ბერების საქმიანობით პროკურატურის დაინტერესებაზე საუბრობდა. ორი დღის წინ კი ტელეეთერით გადაიცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ სროლა მიმდინარეობდა. ანუ ეს ტერიტორია კომუნისტების შემდგომ კვლავ სამხედრო პოლიგონად იქცა. პოლიტიკური გაერთიანება ახალი მემარჯვენეები თავდაცვისა და კულტურის სამინისტროებისგან დავით გარეჯთან დაკავშირებით სასწრაფოდ განმარტებებს მოითხოვენ.



ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, 23 წლის წინ დავით გარეჯის გადასარჩენად წამოწყებულმა თავდაპირველად სტუდენტურმა, შემდეგ კი საყოველთასახალხო მოძრაობამ საქართველოში საბჭოთა წყობას საძირკველი გამოაცალა. მაშინ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიგონი მოქმედებდა და საბჭოთა ჯარის ქვემეხები ანგრევდა ამ უნიკალურ ისტორიულ და კულტურულ ძეგლს. ორი ათეული წლის შემდეგ — უკვე თავისუფალ საქართველოში ისევ იშვა საბჭოეთი და ამჯერად დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ქცევასა და აზროვნებაში.

სწორედ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას მიეძღვნა გუშინ ახალი მემარჯვენეების ოფისში გამართული პრესკონფერენცია, რომელზეც ტელეკომპანია „მაესტროზე" გასულ სკანდალურ სიუჟეტზე იყო საუბარი.

— ტელევიზიით გადაიცა სიუჟეტი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე განახლებული სამხედრო წვრთნების თაობაზე. სიუჟეტში აშკარად ისმის საარტილერიო ზალპების ხმა და გადამღებ ჯგუფს, რომელიც სიტუაციაში გარკვევას ცდილობს, გზას უღობავს სამხედრო პოლიციის მანქანა. აღნიშნულის თაობაზე განმარტებას თავს არიდებს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ფიქრია ჩიხრაძემ. მისი თქმით, რამდენადაც ვანდალური იყო საბჭოთა ჯარის მოქმედებები დავით გარეჯის ყოფილ სამხედრო პოლიგონზე. ათჯერ მეტად ვანდალური და ამორალურია დღეს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს ქმედება.

— აღმოჩნდა, რომ საბჭოთა ჯარს ჩაენაცვლა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო თავდაცვის უწყება და იქ ახორციელებს საარტილერიო ზალპებს. მე ვფიქრობ, რამდენადაც ვანდალური იყო საბჭოთა ჯარის მოქმედება ამ სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ათჯერ მეტად ამორალური და ვანდალური საქართველოს ხელისუფლების მოქმედება. იმიტომ, რომ ჩვენ თუ მაშინ წართმეული გვქონდა უფლება, რომ საკუთარ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიგვეღო, დღეს ეს უფლება გაგვაჩნია და გამოდის, დამოუკიდებლად მივიღეთ საკუთარი უნიკალური კულტურის განადგურების გადაწყვეტილება, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

ახალი მემარჯვენეები დავით გარეჯთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას საკმაოდ მძიმედ აფასებენ და მიაჩნიათ, რომ შესაბამისმა პირველმა პირებმა საჯაროდ უნდა განმარტონ, ვისი გადაწყვეტილებით გადაიქცა გარეჯის ტეროტორია სამხედრო პოლიგონად.

— შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ აღიკვეთოს და სამუდამოდ აიკრძალოს დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველგვარი სამხედრო წვრთნა. თავდაცვისა და კულტურის სამინისტროებმა საზოგადოებას განუმარტონ, ვისი გადაწყვეტილებით და რა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე აღდგა დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონი, — განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ. მისი თქმით, ახალი მემარჯვენეები მიმართავენ ხელისუფლებისა და ეკლესიის წარმომადგენლებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ყველა ორგანიზაციას, რომელიც ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვის საკითხებზე მუშაობს, დაუყოვნებლივ გადაიდგას კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯები დამანგრეველი პროცესის შესაჩერებლად.

გუშინვე ფიქრია ჩიხრაძემ განცხადება გააკეთა იმ ადამიანების მისამართითაც, ვინც წლების წინ აქტიურად

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ნათელაშვილმა სააკაშვილის გადადგომა ამერიკიდან მოითხოვა

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტიის



ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკულ ტურნეს განაგრძობს და როგორც პარტიაში აცხადებენ, აქტიურად იბრძვის სააკაშვილის ხელისუფლებიდან გასაშვებად სწორედ იმ ქვეყანაში, რომლის მხარდაჭერითაც ანტიდემოკრატიული იმიჯის მქონე სააკაშვილი დღემდე ინარჩენს ძალაუფლებას.

გუშინ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ პრესკონფერენცია გამართა და იმ აქციის შესახებ გააკეთა განცხადება, რომელიც შალვა ნათელაშვილმა თეთრ სახლთან გამართა.

გიორგი გუგავას განცხადებით, ქართულ და ინგლისურ ენებზე დაწერილი მოწოდებები „გადადგეს დიქტატორი სააკაშვილი" და „სააკაშვილი მკვლელია" როგორც ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს, ასევე ამერიკის მოქალაქეებს ეჭირათ, რომლებიც როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საქართველოს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარობას უცხადებენ.

— ეს საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციის კედლებთან საქართველოს სატკივარზე ხმამაღლა, დედამიწის გასაგონად ითქვა. ეს ახალი დიდი ბრძოლის დასაწყისია, თანაც იქიდან, სადაც დიქტატორი სააკაშვილი დაინიშნა და დღემდე მხარდაჭერილია, — განაცხადა გიორგი გუგავამ.

# ბაკურ კვეზერელი: სარწყავი სისტემა სეზონის დაწყებამდე გაიწმინდება



სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ირწმუნება, რომ სარწყავ სისტემაში არსებული პრობლემები სარწყავი სეზონის დაწყებამდე მოგვარდება. როგორც მან მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სარწყავი არხები, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში არის გასაწმენდი.

— სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები უკვე დაწყებულია. ამ თვალსაზრისით, პრობლემა, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლშია შექმნილი. გაწმედითი სამუშაოები სარწყავი სეზონის დაწყებამდე დასრულდება, — აღნიშნა ბაკურ კვეზერელმა.

მედიანიუსი

# სასამართლოები სარჩელის განხილვას აჭიანურებენ

„სახალხო წარმომადგენლობითი კრება" სასამართლოებში სახელმწოფო ბაჟის ოდენობის გაზრდას აპროტესტებს. სახალხო კრების ისნის წინაამღდეგობის კომიტეტის თავმჯდომარე თემურ ლომსაძემ გუშინგამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციაში ერთ სასამართლო წარმოებაზე ფიზიკური პირისთვის 5000 ლარიდან - 10 000 ლარამდე გაიზარდა, რაც მომჩივან მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატება.

„სახალხო კრება" ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემაში სარჩელის განხილვის გაჭიანურება ხდება. ზოგიერთ ინსტანციაში საქმეების განხილვა იმდენად ჭიანურდება, რომ ზოგჯერ 4-5 წელიწადზე მეტ ხანსაც გრძელდება.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა გელაშვილი

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების ხელახლი ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# შალამბერიძე ბურჯანაძეს ულტიმატუმს უყენებს

თეა მარხვაი ე

**ოპოზიცია სააკაშვილის გადაყენების სხვადასხვა მეთოდებს გვთავაზობს. ხელისუფლების შესაცვლელად ყველას თავისი გზა აქვს არჩეული. ამ გზების ეფექტურობაზე საუბრისას ოპოზიციონერებს არაერთხელ შემოეკამათათ ერთმანეთი. არადა მათ რამდენჯერმე დადეს პირობა, რომ ვიდრე სააკაშვილია პრეზიდენტი, ერთმანეთს არ გააკრიტიკებენ.**



ოპოზიციის კრიტიკისგან თავის შეკავებას სთხოვს ნინო ბურჯანაძეს ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე. მისი თქმით, დღეს ოპოზიციის კრიტიკის დრო არ არის და ვინც ოპოზიციას აკრიტიკებს, ის სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. რატომ არ შეიძლება ოპოზიციონერებმა ერთმანეთი აკრიტიკონ, როგორ შეუძლიათ მათ საქართველოს მოქალაქეების დაცვა, ამ თემებზე შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

— ძლიან რთული პრობლემების წინაშე ვდგავართ. ცოცხალი და ჯანმრთელი ადამიანების აწიოკება არ იკმარა ხელისუფლებამ. არ დაკმაყოფილდა დევნილების, ვეტერანების, მოვაჭრეების თუ გარემოვაჭრეების დარბევით. ტირანული რეჟიმიახლა ავადმყოფებს დაერია. საავადმყოფოებთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული პრობლემებია. ამ პრობლემების გარშემო მთელი ოპოზიცია უნდა გავერთიანდეთ. საგანგაშო ვითარება შეიქმნა დამწვრობის ცენტრში. ეს ცენტრი, რომელიც 36 პაციენტზე იყო გათვლილი, გაიყიდა. ამ ცენტრში დღეს 25 პაციენტი წევს. მათი მდგომარეობა უმძიმესია. დამწვრობის ცენტრი უნდა გათავსდეს თვალის კლინიკაში. მათ მხოლოდ 10 საწოლს აძლევენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმე ავადმყოფები ქუჩაში რჩებიან და ფაქტიურად სიკვდილისთვის არიან განწირული. ეს ის საკითხია, რომელზეც მთელი ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს, ისევე როგორც ბავშვთა ორთოპედიული ცენტრის გარშემო, რომელსაც ხელისუფლება ასევე გაყიდვას უპირებს. ვიდრე ოპოზიცია ხელისუფლებას საკადრის პასუხს არ გასცემს, გამუდმებით ასე იქნება.

***— თუ იცით, რომ საკადრისი პასუხია საჭირო, გაეცით.***

— ეს ასე მარტივი არ არის. ხელისუფლებას საკადრის პასუხს მხოლოდ მაშინ გავცემთ, თუ კოორდინირებულად ვიმოქმედებთ. ხელისუფლების აღვირახსნილობას ჩვენ მძლავრი აქციები უნდა დავუპირისპიროთ. ამ ტირანიის პირობებში ადამიანებს უკვე თავისუფლად სუნთქვაც კი უჭირთ. ამიტომაც მოვუწოდებ ყველას ერთად დგომისკენ. ადამიანები ჩვენგან შველას ითხოვენ და ჩვენ უნდა ვუშველოთ. სააკაშვილი მარტო ძალას სცემს პატივს და ეს ძალა უნდა დავანახვოთ. თუ ხელისუფლებამ არ დაინახა, რომ ძლიერები ვართ, არაფერს არ დაგვითმობს.

***— რამდენიმე ოპოზიციური პარტია ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებთ. ხართ საკმარისად ძლიერები იმისათვის, რომ ხელისუფლებას დაათმობინოთ რამე?***

— ადრე თუ გვიან ხელისუფლებას დათმობაზე წასვლა მაინც მოუწევს. მარტო მოლაპარაკებებით ხელისუფლება უკან არ დაიხევს. დიალოგის პარალელურად საჭიროა მძლავრი აქციები. ეს ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება და საჭირო გახდება არჩევნების ჩატარება. ამდენად, საარჩევნო გარემო უკვე მზად უნდა იყოს. ამ გარემოს გაუმჯობესებაზე ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. ჩვენ არ გვაქვს იმის დრო, რომ ვამტკიცოთ, რევოლუციის გზა ჯობია თუ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების.

***— ისე, რომელი ჯობია — რევოლუციური თუ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების?***

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება ყველა ვარიანტში სჭირდება. მაშინაც კი, თუ რევოლუციურ გზას ავირჩევთ. ჩვენ არჩევნების თემაზე აქტიურად ვმუშაობთ და გვჯერა, რომ ხელისუფლებას დავათმობინებთ. რაც მეტი პარტია ჩავერთვებით ამ პროცესში, მით უფრო მალე დავათმობინებთ სააკაშვილს პოზიციებს. ამიტომ ვთხოვ ოპოზიციურ პარტიებს, ჩვენ დაგვიჭირონ მხარი. თუ ჩვენ გვერდით არ დგანან, შეურაცხყოფას მაინც ნუ მოგვაყენებენ. მე არ ვითხოვ, რომ ოპოზიციაში ვინც ვართ, ერთმანეთის მეგობრები და ბავშვების ნათლიები ვიყოთ. მე ყველას კოორდინირებული მოქმედებისკენ მოვუწოდებ. ერთმანეთის ლანძღვა კარგს არაფერს მოგვიტანს. ამ მხრივ განსაკუთრებით ნინო ბურჯანაძეს მინდა მივმართო. მას მინდა ვთხოვო და მოვთხოვო, რომ თავი შეიკავოს ოპოზიციაზე დარტყმებისგან. მე მას მოვუწოდებ, რომ ჩვენთან ერთად იმოქმედოს.

***— იქნებ არ უნდა თქვენთან ერთად ქმედება?***

— მაშინ ნუ გაგვლანძლავს მაინც. ამ ლანძღვით ის სააკაშვილის საქმეს აკეთებს.

***— ის ამბობს, რომ თქვენ აკეთებთ სააკაშვილის საქმეს.***

— გვაკრიტიკებს და სააკაშვილთან კავშირში გვდებს ბრალს. თავისი ქმედებებით კი სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. მე მოვუწოდებ მას, შეწყვიტოს ჩვენი ლანძღვა. თავი დაანებოს ჩვენი გზების კრიტიკას.

***— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მსურველებიც ხომ აკრიტიკებთ რადიკალური ოპოზიციის გზებს. მაშინ თქვენც უნდა შეწყვიტოთ მათი კრიტიკა.***

— ჩვენც უნდა შევწყვიტოთ. ახლა ერთმანეთის ლანძღვის დრო არ არის. ჩვენ ერთმანეთის სავალი გზები არ უნდა ვაკრიტიკოთ. ჩვენ ერთად უნდა ვიაროთ. მხოლოდ ასე შევძლებთ ხელისუფლების დამარცხებას. შედეგის მისაღებად მოლაპარაკებების პარალელურად მძლავრი აქციებიც უნდა გაიმართოს. სააკაშვილი არის ტირანი, რომელიც უცნაურ და ცუდ გადაწყვეტილებებს ღებულობს. ამდენად, არ ვიცით, რას გვიმზადებს მომავლისთვის. მის გამოხტომებს მხოლოდ ერთად დგომით დავძლევთ. ამიტომ ბურჯანაძისგან ვითხოვთ, რომ თავი დაანებოს ჩვენს კრიტიკას.

***— ულტიმატუმს უყენებთ?***

— არა. ეს არის თხოვნა და მოთხოვნა. ჩვენს ლანძღვას სჯობია ჩვენთან ერთად იმოქმედოს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

***— თქვენთან რომ ეპატიჟებით, თქვენ თუ აპირებთ მათ აქციებში მონაწილეობის მიღებას?***

— მე ოპოზიციის კოორდინირებული მოქმედების მომხრე ვარ. როცა სახალხო კრებამ დიდი შეკრება გამართა, ჩვენ მივედით იმ ღონისძიებაზე. ჩვენ მიერ მოწყობილ აქციებზე ხშირად მოდიან მისი პარტიის წევრებიც. მე იმედი მაქვს, რომ მომავალშიც ასე იქნება. ოპოზიცია თუ კოორდინირებულად იმოქმედებს, სააკაშვილი დამარცხდება. ამიტომ კიდევ ერთხელ ვთხოვ ბურჯანაძეს, შეწყვიტოს ჩვენი ლანძღვა.

***— რატომ აკეთებთ ამ განცხადებას საჯაროდ, უკეთესი არ იქნებოდა, თუ პირადად, ანდა ტელეფონით დაელაპარაკებოდით ამ თემაზე პარლამენტის ყოფილ სპიკერს? კოორდინირებული მოქმედების შემთხვევაში ეს უფრო სერიოზულ სახეს მიიღებდა.***

— ქალბატონი ნინო, ჩვენ საჯაროდ გვაკრიტიკებს და ამიტომაც გადავწყვიტე მეც საჯაროდ მიმემართა მისთვის. ტელეფონით დარეკვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

***— რატომ?***

— რა ვიცი, აბა. მერაბიშვილი ყველას უსმენს და შემეშინდა ეს საუბარი მერე ტელევიზორში დამონტაჟებული სახით არ ეჩვენებინა. ამიტომ საჯაროდ ვთხოვ ყველას, თავი დავანებოთ ერთმანეთის კრიტიკას. ვიდრე პატარა წყენისათვის შურისძიებებს თავს არ დავანებებთ, მანამდე ოპოზიციის ბრძოლა განწირულია.

# რუსები აფხაზებს გაგრას ართმევენ

თეა მარხვაი ე

**აფხაზებს და ოსებს რუსული აღიარება ძალიან ძვირი დაუჯდებათ. სამი წლის წინ ჟირინოვსკიმ საკმაოდ ღიად განაცხადა, თუ რას უპირებს მოსკოვი აღიარებულ ცხინვალსა და სოხუმს. მან თქვა, რომ რუსეთს მხოლოდ ეს მიწები სჭირდებოდა. ოსებს და აფხაზებს კი მოსამსახურეებად გამოიყენებს. რუსეთის მადლიერმა ოსობამ და აფხაზობამ მაშინ ეს განცხადება არ გააპროტესტეს. დროთა განმავლობაში ისინი უკეთ მიხვდებიან თუ რა ფასად დაუჯდათ „დამოუკიდებლობა“.**



სოხუმში ამას უკვე მიხვდნენ. რუსეთმა მათგან დამოუკიდებლობის საფასურის ამოღებაც დაიწყო. რასაც ერთ დროს ჩვენი ხელისუფლების ნებიერა სერგეი ბაღაფშიც ხელს უწყობს.

აფხაზურმა ოპოზიციამ ბაღაფშის ქმედებები ბევრჯერ გააპროტესტა. რუსებისთვის სტრატეგიული ობიექტების გადაცემასაც დიდი წიოკი მოჰყვა. ბაღაფშმა კი თქვა რუსებმა ჩვენ ბევრი რამე გაგვიკეთეს და ეს ობიექტები რატომ არ უნდა ვაჩუქოთო.

არ არის გამორიცხული, ბაღაფშმა ანალოგიური განმარტება გააკეთოს გაგრასთან დაკავშირებითაც. აფხაზეთისგან რუსეთი გაგრის დათმობას ითხოვს. ამის შესახებ აფხაზურ პრესაში უკვე ღიად მიდის საუბარი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „ჩეგემსკია პრავდას“ რედაქტორმა ინალ ხაშიგმა. ცნობისათვის, ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ვლადისლავ არძინბას პრესსამსახურის უფროსი იყო.

ინალ ხაშიგი თავის სტატიაში ბაღაფშისა და რუსეთის დამოკიდებულებაზე საუბრობს. არძინბას ყოფილი თანაგუნდელი დარწმუნებულია, რომ თუ ბაღაფში რუსეთს გაგრას დაუთმობს, აფხაზეთი გარდაიცვლება.

— როგორც ჩანს, სერგეი ბაღაფშს თავის პოლიტიკურ კარიერაში ყველაზე მთავარი გამოცდა ელოდება. ამ გამოცდასთან შედარებით, დრამატული მოვლენები, რომლებიც 2004 წელს გამართულ არჩევნებთან დაკავშირებით მოხდა, რომელთა შედეგადაც სერგეი ბაღაფში ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მხოლოდ ყვავილებად გამოჩნდეს. ახალი გამოცდა პირდაპირაა დაკავშირებული აფხაზეთ-რუსეთის საზღვრის დემარკაციის საკითხზე. ამჟამად მოლარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს, რომელთა მონაწილეები კომენტარებისა და განცხადებებისგან თავს იკავებენ, თუმცა, როგორც ჩანს, ეს პერიოდიც მალე დასასრულს მიუახლოვდება. ეს პასუხისმგებლობის საკმაოდ მძიმე ტვირთია — ინფორმაციის გარეშე ამყოფო საკმაოდ პოლიტიზებული აფხაზური საზოგადოება. ტვირთი კი მართლაც მძიმეა. აფხაზური პარლამენტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, რუსული ხედვა იმისა, თუ სად უნდა გადიოდეს საზღვარი — ინფარქტულლეტალურია სოხუმისათვის. მოსკოვი სთავაზობს ან მოითხოვს (ვის როგორ მოსწონს) მისცენ მას აფხაზური ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრი, ანუ გაგრის რაიონის პრაქტიკულად მთელი სამხრეთ-დასავლეთი, — წერს ხაშიგი.

ხაშიგს აინტერესებს „რაში დასჭირდა მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანას, იაპონიასთან კურილიის კუნძულების გამო კვლავ ამოტივტივებული პრობლემის ფონზე კიდევ ერთი ტერიტორიული ნაღმი“.

— კითხვა რიტორიკულია, თავად რუსებისთვისაც კი, მაგრამ პატარა აფხაზეთისათვის, მისი მასშტაბებით ამდენად დიდი ტერიტორიის დაკარგვა —კატასტროფის ტოლფასია, — მიაჩნია აფხაზ ჟურნალისტს.

ხაშიგი დარწმუნებულია, რომ გაგრის დათმობას აფხაზეთის მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს.

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელი სულაც არ არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარება — აზრი იმთავითვე ცხადი და გასაგებია ყველა წინააღმდეგი იქნება. ამ მიწისთვის ხომ ჯერ კიდევ სულ ახლახან (1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს) ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა, იმისათვის, რომ აი, ასე უბრალოდ უარი ითქვას მასზე, თუნდაც მსოფლიოში ერთადერთი, აფხაზეთის რეალური პარტნიორის სასარგებლოდ. ამის მიუხედავად, იგი ამ საკითხის ინიცირებას ახდენს, ალბათ იმედი აქვს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება გაგებით მოეკიდება ამ საკითხს. ოფიციალური სოხუმი ხომ გაცილებით უფრო დამყოლია, დამთმობია და რაც ყველაზე მთავარია მადლიერია, ვიდრე ისინი, ვისაც ეს ხელისუფლება წარმოადგენს. რაღაც გარკვეული დაკვირვების გამოცდილება კრემლს ამასთან მიმართებაში უკვე აქვს და სოხუმისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებით, რუსეთი რეალურად ალბათ იმედოვნებს 160 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიის მთლიანად თუ არა ამ მიწის ნახევრის მიღებას მაინც, — ვკითხულობთ წერილში.

ხაშიგი იმ ფინანსურ დახმარებაზეც საუბრობს, რომელიც აფხაზეთს გაუწია რუსეთმა.

— ფინანსურმა წვიმამ, რომელმაც აფხაზეთს აწვიმა ბოლო ორი წლის განმავლობაში, მაინც ვერ შეძლო აფხაზეთის ეკონომიკის ფეხზე დაყენება, თუმცა, უწესობამდე გაამდიდრა ადგილობრივი ბიუროკრატია. ის, რომ მოსკოვი შესაშური გულმოდგინებით აკვირდება, თუ როგორ ილექება რუსი გადამხდელის მიერ გადახდილი თანხა აფხაზი ჩინოვნიკების ჯიბეებში, ის, რომ რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა სერგეი სტეპაშინმა რუსული ფინანსური დახმარების ხარჯვის შემოწმებისას 347 მილიონი რუბლის დანაკლისი აღმოაჩინა და ამას არა ქურდობა, არამედ უცნაური ტერმინი — „გაძვირებულობა“ უწოდა, არ უნდა იქნეს აღქმული როგორც დიდსულოვნება და მით უფრო დახმარების გამღები ხელის სისუსტე. კრემლის ტრადიციებში არ შედის წვრილმანებზე ჩაციკვლა, მით უფრო, როდესაც წინასწარ იცი, რომ ეს „გაძვირებულობა“ წინასწარ იყო გათვლილი და განსაზღვრული. და ამას „აფხაზ ჩინოვნიკებში ინვესტირება“ ეწოდება. უნდა ითქვას, რომ ძალიან მომგებიანი ბიზნესია. ჩადებ ერთ მანეთს და იღებ ასს. გასულ წელს, ხელისუფლების მთელი რიტორიკა მიმართული იყო ხალხის „სწორ რელსებზე“ დაყენებაზე, რომელიც „რუსეთის სიყვარულამდე“ მიდიოდა (ამასთან ერთად სამშობლოზე არ იყო ნათქვამი არც ერთი სიტყვა). ეს მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ხარჯვის ამგვარი ნაწილი და რატომაც არ უნდა ამოქმედდეს იგი ახლა? — კითხულობს ხაშიგი.

ის დარწმუნებულია, რომ ბაღაფში გაგრის დათმობას ვერაფრით ვერ გაამართლებს.

— თუ რუსეთისათვის პირობით 1 რუბლად სამი ელიტარული რეზიდენციის გადაცემის — ყოფილი ლიდერების სახელმწიფო აგარაკების — ხრუშჩოვის, გორბაჩოვისა და ბერიას ან მაგალითად, სახელმწიფო კორპორაცია „როსნეფტისათვის“ აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და მოპოვების ექსკლუზიური უფლების გადაცემისას აფხაზეთის ხელმძღვანელობა კიდევ პოულობდა არგუმენტებს საზოგადოების თვალში თავიანთი მოქმედებების გასამართლებლად — „ეს აგარაკები არასოდეს ყოფილა ჩვენი“, „თუ ნავთობს არ მოვიპოვებთ, მას სხვა ამოქაჩავს“ და „საერთოდაც უნდა იცოდე, რომ უნდა იყო მადლობელი“ — ახლა შესაბამისი გამამართლებელი ახსნა-განმარტების მოძებნა საზღვრის დემარკაციის საკითხთან დაკავშირებით და ახსნა იმისა, თუ რატომ უნდა მივცეთ ჩვენ ჩვენი მიწის უზარმაზარი ნაწილი რუსეთს — შეუძლებელია, — ამბობს ხაშიგი.

ინალ ხაშიგის თქმით, ბაღაფში ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. და როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს მისი საქმე კარგად არ წავა.

— იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კრემლისათვის ტერიტორიული პრეტენზიები — პრინციპული საკითხია, მაშინ სერგეი ბაღაფშს ნებისმიერ შემთხვევაში კარგი დღე არ ელოდება. მიწა, რომ არ დაუთმოს მაშინ პასუხად რუსული ფინანსური დახმარება აფხაზეთის მიმართ საგრძნობლად შესუსტდება. თან იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ბიუჯეტი 70%-ს რუსეთის დოტაციით ივსება ეს ქვეყანაში დესტაბილიზაციამდე და ხელისუფლების შეცვლამდე მივა. დაუთმობენ მიწას — მაინც დესტაბილიზაცია და ვადამდელი გადადგომა იქნება, — ნათქვამია სტატიაში.

# კალმახელიძეს შავი ღრუბელი უახლოვდება

**„დიდიხანია არავის არ ეშინია. უფრო მეტიც, არ იქნება უკანდახევა, ვიდრე პატიმრებს არ გაათავისუფლებენ და არ მიიღებენ წინააღმდეგობის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს ფართო ამნისტიის შესახებ“, — აცხადებს წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი დავით თარხან-მოურავი.**



საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ პატიმრების წამების აღსაკვეთად კონკრეტული ქმედებები დაიწყო. 18 მარტის აქციამ, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობის ინიციატივით გაიმართა, მოქმედების სტრატეგია გამოკვეთა და, უფრო მეტიც, ეს გეგმა ხალხთან შეთანხმდა, რაც ქართულ რეალობაში არც თუ ხშირად ხდება. 18 მარტის აქციას, როგორც კუდისა და სოდის აქტივისტები „წუხდნენ“, 2000-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. 25 მარტს, 16 საათზე აქცია „მეც პატიმარი ვარ“ უკვე სასჯელაღსრულების სამინისტროსთან გაგრძელდება. მანამდე მოძრაობის ომბუდსმენები საპატიმროებიდან შემოსულ საჩივრებზე რეაგირებას განაგრძობენ. ამბობენ, რომ არც ერთი წერილი და ზარი უპასუხოდ არ რჩება, ხოლო ინფორმაცია, რომელიც ცხელი ხაზიდან შემოდის, შემზარავია. ქართულ ციხეებში პატიმართა წამების ფაქტებმა კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია.



წინააღმდეგობის მოძრაობა 2010 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა. მისი ლიდერი დავით თარხან-მოურავია. მოძრაობაში არა ერთი ცნობილი სახეა გაერთიანებული: ჯემალ სეფიაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ადა მარშანია, სოსო მანჯავიძე, შოთა გლურჯიძე, ირმა ინაშვილი. დასახელებულია 20-ზე მეტი ომბუდსმენი, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის კონკრეტულ მიმართულებებს კურირებენ. არსებობს ინფორმაცია, რომ მოძრაობის ურთიერთობებს ევროსტრუქტურებთან თარხან-მოურავი მართავს და არეგულირებს, რომელიც წლების მანძილზე სწორედ ევროპაში მოღვაწეობდა და აქვს პირადი კონტაქტები არაერთ გავლენიან ევროდეპუტატთან, თუ ევროსტრუქტურების მაღალჩინოსნებთან. ასე რომ, წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენების მიერ მოპოვებული მასალები საერთაშორისო ორგანიზაციებს ოპერატიულ რეჟიმში მიეწოდება. შესაბამისად, ევროპაში მძიმედ, მაგრამ შესამჩნევად ინგრევა ილუზია სააკაშვილის ხელისუფლების „რეფორმატორობისა“ და „დემოკრატიულობის“ შესახებ. ამაზე საფრანგეთის ელჩის აღშფოთებაც მეტყველებს, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს ნეობოლშევიკები მართავენ. პატიმრების მდგომარეობის გამოსწორება, უფრო მეტიც, პატიმართა მასობრივი გათავისუფლება და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება წინააღმდეგობის მოძრაობის პრიორიტეტია. შეიქმნა კანონპროექტი, რომელსაც ერთი თვის მანძილზე ათასობით ადამიანი შეუერთდა.

„კანონპროექტზე ხემოწერა გრძელდება. მოქმედებს ცხელი ხაზი: 23 64 19. საგულისხმოა, რომ საყოველთაო ნიჰილიზმის ფონზე საზოგადოება ქუჩაში არც ერთ სხვა თემაზე არ გამოსულა. არ გამოსულა მაშინ, როცა ვეტერანებს არბევდნენ, როცა დევნილებს სცემდნენ და ყრიდნენ სახლებიდან, როცა მოვაჭრეებს ბოლო ლუკმა წაართვეს. საზოგადოება გამოვიდა პატიმართა წამების თემაზე და ეს ლოგიკურია. საქართველოში დღეს ვერ მოძებნით ოჯახს, რომელსაც პატიმარი არ ჰყავს. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, ქართულ ციხეებსა და კოლონიებში 40.000 პატიმარზე მეტია. ბოლო 10 დღის მანძილზე წამებით 7 პატიმარი მოკვდა. მძვინვარებს ტუბერკულოზის ეპიდემია. ამ ფონზე ხელისუფლება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირებაზე საუბრობს, ხოლო ხუდადოვის საავადმყოფო ნამდვილ სასაკლაოდაა ქცეული“, — აცხადებს წინააღმდეგობის მოძრაობის მედია-ომბუდსმენი და მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი.

— ის, რაც ხუდადოვის საავადმყოფოში ხდება, ანუ პატიმართა ტუბერკულოზით გარდაცვალების ათობით ფაქტი, არის ქართველი ერის გენოციდი. ხელისუფლება შეგნებულად ამახინჯებს სტატისტიკას, მომაკვდავი პატიმრები გადაჰყავთ ხუდადოვზე, რათა გარდაცვალების ფაქტი არა ციხეში, არამედ საავადმყოფოში დაფიქსირდეს. გვაქვს ინფორმაცია, რომ ე.წ. უმართავ პატიმრებს შეგნებულად უშვებენ ტუბერკულიოზით დაავადებულთა საკანში, რათა ჯანმრთელი პატიმარი დაავადეს და როცა ცემენ, დაფიქსირდეს არა ცემით, არამედ ტუბერკულიოზით გარდაცვალების მიზეზი. გეუბნებით პირდაპირ, რომ ამას არ აკეთებდნენ ნაცისტები საკონცენტრაციო ბანაკებში, ამიტომ მოვუწოდებთ ყველას, ჩვენს თანამოქალაქეებს: შემოუერთდით აქციას „ეც პატიმარი ვარ“ პარასკევს, 25 მარტს, 16 საათზე, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან. მხოლოდ საზოგადოებას შეუძლია შეაჩეროს პატიმართა გენოციდის პროცესი“, — წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი სოსო მანჯავიძე. წინასწარი ინფორმაციით, 25 მარტის აქციას პატიმართა მშობლების და ახლობლები გაორმაგებული შეადგენლობით შეუერთდებიან. აქციაში მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია-ჯგუფების წარმომადგენლებიც მიიღებენ. დღის წესრიგში კონკრეტული მოთხოვნები დადგება. გამორიცხული არაა, პატიმარ დედათა კომიტეტმა ქალბატონ კალმახელიძესთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვოს. აქტიურდება ახალგაზრდობაც, რომელიც რამდენიმე ჯგუფის სახით შეუერთდა აქციას „მეც პატიმარი ვარ“. სავარაუდოდ, 25 მარტს ყაზბეგის გამზირი გადაიკეტება.

---

ნანა მიშელაშვილი

# დაგვასმევინეთ ძალოვანი მინისტრებისთვის კითხვები

## პარასკევს პარლამენტში მთელი მთავრობა მივა

**ოპოზიცია მთავრობის მთელი შემადგენლობის პასუხისმგებლობის დაყენებით იმუქრება. ეს მუქარა ოპოზიციამ იმ შემთხვევაში შეიძლება „განახორციელოს“, მინისტრებისგან კონკრეტულ პასუხებს თუ ვერ მიიღებს.**

ამ კვირაში დეპუტატებს მინისტრების „გამასპინძლება“ მოუწევთ. კანონმდებლები მინისტრებს შეკითხვებს დააყრიან, თუმცა, როგორი იქნება მინისტრების პასუხები, მათი „ბედი“ ამაზეა დამოკიდებული. დეპუტატები საკუთარ ტერიტორიაზე იბრძოლებენ, თუმცა, ამ მხრივ, გამოუცდელები არც მინისტრები არიან და საკუთარი პოზიციების დაცვას პრემიერის დახმარებით შეეცდებიან.

დღეიდან, მთელი კვირის განმავლობაში, დეპუტატების შეკითხვებზე პასუხის გაცემას მინისტრები შეეცდებიან. პირველი და შემაჯამებელი გამოსვლა პრემიერ ნიკა გილაურს ექნება. სამშაბათს მოხსენებით გამოვლენ ეკონომიკური პროფილის მინისტრები კახა ბაინდურაშვილი და ვერა ქობალია. ოთხშაბათსა და ხუთშაბათს დეპუტატების შეკითხვებს უპასუხებენ: ჯანდაცვის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ლტოლვილთა და განათლების მინისტრები. პარასკევს პარლამენტში მთელი მთავრობა მივა, მათ შორის ძალოვანი მინისტრები.

ოპოზიციის ნაწილი წინასწარ აცხადებს, რომ მთავრობას თავზე ხელს არ გადაუსვამენ და მწვავე კითხვებს დაუსვამენ. კითხვების დიდ ნაწილს ოპოზიცია წინასწარ არ ახმაურებს, რადგან მინისტრებს საქმე არ გაუადვილონ. თანაც ზოგიერთ ოპოზიციონერს საკუთარი გამოსვლისა თუ კითხვების მედიით წინასწარ გახმაურება კარგად არა აქვს დაცდილი.

უმრავლესობის წევრები მინისტრების პარლამენტში მისვლას უპრეცედენტოს უწოდებენ. პარლამენტის თავმჯდომარე კი ამბობს, რომ ასეთი ინტენსივობის სამთავრობო მოსმენები პარლამენტში ჯერ არ ყოფილა.

— სამშაბათს, პრემიერი კომპლექსურ მოხსენებას გააკეთებს მთავრობის გეგმებისა და პროგრამების შესახებ. შემდეგ მინისტრების გამოსვლა მოხდება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

მინისტრების პარლამენტში ვიზიტის დროს საკუთარი პარტიის პროგრამის გაცნობას მოითხოვს „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურია. ის გუშინ პარლამენტის ბიუროს სპეციალურად ეწვია და განცხადება გააკეთა.

დამოუკიდებელი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია მოითხოვს, რომ პარტიების ლიდერებს საშუალება მიეცეს საკუთარი პროგრამები წარმოაჩინონ. ბაღათურიას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დაფინანსების პროგრამა აქვს, რომელსაც თავად უნიკალურს უწოდებს.

მას შემდეგ, რაც ბაღათურიას განცხადება მოისმინა, შეკითხვა დასვა უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა. მან ბაღათურიას ჰკითხა: მარტო საპარლამენტო პარტიებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი პროგრამა თუ არასაპარლამენტო პარტიებმა?

ნუგზარ წიკლაურს პასუხი ჯონდი ბაღათურიამ გასცა. ბაღათურიამ აღნიშნა, რომ მხედველობაში მარტო საპარლამენტო პარტიები ჰყავდა, ისე შეუძლიათ ახალი ფორმატი მოიფიქრონ და ფილარმონიაში გამართონ პარტიებმა საკუთარი პარტიების პროგრამების პრეზენტაცია.

ჯონდი ბაღათურიას პასუხი პარლამენტის თავმჯდომარემ გასცა. დავით ბაქრაძემ დამოუკიდებელ დეპუტატს განუმარტა, რომ პროგრამების წარდგენა და პრეზენტაცია გამართლებული არ იქნება, თუმცა, დეპუტატს ექნება გამოსვლის უფლება. ბაქრაძემ დეპუტატს უთხრა, რომ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას საშუალება ექნება საკუთარი გამოსვლის დროს იმ ხედვებზე ისაუბროს, რომელიც მას აქვს.

— ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ საუბარი. 4 დღის განმავლობაში შეგიძლიათ გამოსვლა და კითხვის დასმა ნებისმიერი მინისტრისთვის, — განუმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ ბაღათურიას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჯონდი ბაღათურიამ დასვა, ძალოვან მინისტრებს უკავშირდება. ბაღათურიას განცხადებით, ძალოვანმა მინისტრებმა და საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებმა პასუხი უნდა გასცენ მედიის ზოგიერთ წარმომადგენელზე თავდასხმის საკითხს.

ბაღათურიას განცხადებით, ბევრი გაუხსნელი საქმე დაგროვდა, რომელიც ჟურნალისტებსა და ტელევიზიაზე თავდასხმას უკავშირდება. მისივე თქმით, 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმი შეიჭრა, რომელმაც ტელეკომპანია დაარბია. ბაღათურია მოითხოვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებმა გააკეთონ.

ჯონდი ბაღათურიას ამ განცხადების შემდეგ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ.

— მე არ ვიცი, თქვენ სად მოისმინეთ, რომ ძალოვან მინისტრებთან ჩვენ შეკითხვები არა გვაქვს, ჩვენ მათთან კითხვები გვაქვს. პარასკევს, ძალოვანი მინისტრები იქნებიან და ის კითხვები, რომელიც მათთან გვექნება, ჩვენ დავსვამთ, — უთხრა ლევან ვეფხვაძემ ჯონდი ბაღათურიას.

საპარალმენტო ოპოზიციის წევრები აცხადებენ, რომ მინისტრებს პასუხის გაცემაში უმრავლესობის წევრები დაეხმარებიან, უფრო სწორად, მმართველი ფრაქცია შეეცდება მინისტრები ოპოზიციის „რისხვისგან“ დაიცვას.

მაინც რა კითხვები აქვს ოპოზიციას მინისტრებთან? ედპ-ს წევრი გურამ ჩახვაძე განმარტავს, რომ მთავრობას ძალიან სერიოზული დღეები ელის, რადგან მან პასუხი უნდა გასცეს არა მარტო დეპუტატების შეკითხვებს, არამედ საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს.

— ედპ-ს აქვს თავის მოსაზრებები, რეკომენდაციები ყველა იმ სფეროებთან დაკავშირებით, სადაც პრობლემები გვაქვს. იქნება ეს სოციალური, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის თუ საგადასახადო სფერო. ჩვენ ველით, რომ მთავრობა პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საკითხს. ჩვენ შეგვიძლია გავინაწილოთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ს წევრი მთავრობისგან ადეკვატურ პასუხებს და რეალური გეგმის წარდგენას ელოდება. წინაღმდეგ შემთხვევაში, გურამ ჩახვაძე არ გამორიცხავს, რომ კონსტიტუციური უფლება გამოიყენონ და მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატებს, ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე ამ ეტაპზე მხოლოდ შეკითხვების იმ ნაწილს ახმაურებს, რომელიც ეკონომიკურ გუნდთან აქვს.

ვეფხვაძეს აინტერესებს, რამდენად არის რევოლუციური ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ხელისუფლებამ მიიღო? რამდენად არის მთავრობისთვის ღირებული მცირე მეწარმეები?

— გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია დაფინანსების წყაროები. პრეზიდენტი გამოდის



და დაჭყხუბას, რაღაცას ვაფინანსებ და ამდენი მილიონი ლარი გამოიყოფა. არადა, ოპოზიცია როდესაც ამბობდა, ესა და ეს დაფინანსდეს, გვეუბნებოდნენ, თავი ხომ არაფერს მიარტყით, ფული არ არისო. პრეზიდენტისთვის ფული თუ არის, მაშინ გვითხრან, საიდან არის ეს ფული? ძალიან მარტივი კითხვაა და გვიპასუხონ, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ფინანსთა მინისტრსაც აძლევს რჩევას. ლევან ვეფხვაძე წინასწარ ამბობს, რომ ფინანსთა მინისტრი პარლამენტში იტრაბახებს, რომ იანვრისა და თებერვლის თვეების ბიუჯეტი შეასრულა, რაც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

— ჯერჯერობით, რასაც მთავრობა ახორციელებს, ეს არის ინფლაციის გაღრმავების ღონისძიება და არა ინფლაციის შეკავების ღონისძიება. თუკი რაიმე პროგრამა არსებობს, ამ კითხვას დავსმათ და იმედი მაქვს გვიპასუხებს. ოღონდ წინასწარ ვაფრთხილებ კახა ბაინდურაშვილს, არ მიპასუხოს, რომ ვაუჩერების დარიგება არის ინფლაციასთან ბრძოლის მეთოდი. ეს არის ინფლაციის გაღრმავების მეთოდი და აქამდე საკითხი არ უნდა მისულიყო, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ ფინანსთა მინისტრის მისამართით.

ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერს შეკითხვები

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# დაგვასმევინეთ ძალოვანი მინისტრებისთვის კითხვები

დასაწყისი მე-4 გვერდზე

პრემიერ ნიკა გილაურთანაც აქვს. პრემიერს პასუხის გაცემა ებრაელ ბიზნესმენებთან დაკავშირებით მოუწევს. ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუკსი და რევ ფრენკელი ამჟამად დაკავებულები არიან. ორი ებრაელი ბიზნესმენი 2010 წლის ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემის ბრალდებით დააკავეს.

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო უცხოურ მედიაში აჟიოტაჟი კარგა ხანია რაც ატეხილია. ებრაული წყაროების ცნობით, ისრაელმა უარი თქვა ჯერ პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ისრაელში ვიზიტზე, ახლა კი — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას გამგზავრებაზე.

ინტერნეტ პორტალი „იზრუ" ავრცელებს ინფორმაციას, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას ისრაელში ნახვა არ სურთ. მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია შეიტყვეს, ვიცე-სპიკერმა პრემიერ ნიკა გილაურის მისამართით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა.

— მისი პერსონალური მოწვევით საქართველოში ებრაელი მეწარმეები ჩამოიყვანეს და ნახევარ საათში აიყვანეს. რომელ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზეა საუბარი და რომელი ინვესტიციების ჩადებაზე ამ ქვეყანაში საუბარი? პარლამენტში იქნებიან ძალოვანი მინისტრები და პასუხი გაგვცენ, რა სპეცოპერაცია დაგეგმეს ასეთი, რომ ისრაელის ხელისუფლებას დემარში აქვს, პარლამენტის თავმჯდომარეს არ იღებენ, მთავრობის წევრებს არ იღებენ. ფრთოსან რაკეტებს ჩვენი მიმართულებით ნამდვილად არ გამოუშვებენ, დედასაც არავინ შეგვაგინებს, მაგრამ დიპლომატიურ ენაზე ამას, რაც ჰქვია, ყველა ხვდება, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მთავრობის წევრებთან შეკითხვები სხვა ოპოზიციონერ დეპუტატებსაც აქვთ. ცალკეული დეპუტატები ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანს დევნილების გამოსახლების დროს დაშვებულ ხარვეზებზე მიუთითებენ და საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ. მწვავე შეკითხვების ერთ-ერთი ადრესატი სწორედ კობა სუბელიანი იქნება.

ოპოზიციის ერთი ნაწილი იმასაც ამბობს, რომ კობა სუბელიანის უწყება დეპუტატების მიერ გაგზავნილ შეკითხვებს ან პასუხს არ სცემს, ან პასუხის გაცემას აგვიანებს. სავარაუდოდ, ოპოზიცია ამ საკითხს მინისტრ სუბელიანთან პარლამენტის სხდომაზევე გაარკვევს.

საკმაოდ ბევრი შეკითხვა დაისმევა ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით. მინისტრ სანდრო ურუშაძეს საკმაოდ დიდხანს მოუწევს საპარლამენტო ტრიბუნასთან დგომა და დეპუტატების კრიტიკის მოსმენა.

მინისტრების ნაწილს დღის პირველ ნახევარში მოუწევს გამოსვლა, ნაწილს — დღის მეორე ნახევარში. პრემიერის გარდა, ცნობილია, რომ მოხსენებით 8 მინისტრი გამოვა. თუმცა, დეპუტატების შეკითხვებიდან გამომდინარე, რვა მინისტრის გარდა, შესაძლოა სხვა მინისტრების გამოსვლაც მოხდეს.

რით დამთავრდება პარლამენტში „მინისტრთა კვირეული" და დადგება თუ არა რომელიმე კონკრეტული მინისტრის ან მთლიანად მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის საკითხი, ეს ამ კვირაში გაირკვევა. საერთოდ, ოპოზიციის მიერ რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, მის განთავისუფლებას არ ნიშნავს. ოპოზიციას მინისტრების გათავისუფლების არანაირი მექანიზმი არ გააჩნია.

# დავით გარეჯს გადარჩენა სჭირდება!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად.

— მივმართავ ყველა იმ ადამიანს, ვისაც რაიმე ფორმით მონაწილეობა აქვს მიღებული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის საქმეში — შევქმნათ სანდო საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც შეისწავლის და მონიტორინგს განახორციელებს შექმნილ ვითარებაზე. ამასთან, ვთავაზობ ნიკა ვაჩეიშვილს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ამ კომისიის ხელმძღვანელობას და იმედს გამოვთქვამ, რომ მისი პოზიცია ამჯერად მაინც ხელისუფლების კონიუნქტურისაგან თავისუფალი იქნება, — აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოება თავისი აქტიურობით შეძლებს სამუდამოდ აიკრძალოს დავით გარეჯის სამინასტრო კომპლექსთან სამხედრო წვრთნების საარტილერიო სროლების აკრძალვას და ამ გზით დაიცავს ისედაც ბუნებრივად განადგურების საფრთხის წინაშე მდგომი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის გადარჩენას.

რაც შეეხება ნიკა ვაჩეიშვილს და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს დავით გარეჯთან დაკავშირებით, ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელი აცხადებს, რომ ვაჩეიშვილის განცხადებები პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარეა. ამიტომ, ფიქრია ჩიხრაძე ურჩევს ვაჩეიშვილს, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამოვიდეს და ეროვნულ ისტორიულ ძეგლებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს.

# PSP – მეექვსედ გახდა რჩეული ფარმაცევტული ბრენდი




14 მარტს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" 2010 წლის რჩეული ბრენდების დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. ღონისძიება უკვე ტრადიციულად ტარდება კომპანია Global Idea-ს, გაზეთი The Financial-ის ორგანიზებით და ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერით. ოქროს ბრენდის დაჯილდოვების ცერემონია ყველაზე პრესტიჟულ და გავლენიან ბიზნეს დაჯილდოვებად არის აღიარებული.

სულ 2010 წლის „ოქროს ბრენდის" დაჯილდოვების ცერემონიაზე, რჩეულ ბრენდად, სხვადასხვა სფეროს 40-ზე მეტი კომპანია დასახელდა; აღსანიშნავია, რომ უკვე მეექვსედ, ფარმაციის წლის რჩეული ბრენდის ტიტული "PSP"-მ მიიღო. PSP 1995 წლის 3 მაისიდან ფუნქციონირებს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. ამ 16 წლის განმავლობაში კომპანია თანმიმდევრულად დგამს წარმატებულ ნაბიჯებს. PSP-ში პრიორიტეტული მიმართულებებია მედიკამენტების წარმოება ფარმაცევტული საწარმო GMP-ის ბაზაზე, ლიდერობა ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტი, დისტრიბუციის, სააფთიაქო ქსელის, ჰოსპიტალური და სადაზღვეო სექტორის განვითარება. ოქროს ბრენდის დაჯილდოვების ცერემონიაზე PSP-ს რჩეულ ბრენდად დასახელება, კომპანიისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარებაა.

ოქროს ბრენდი ავლენს და აჯილდოვებს იმ კომპანიებს, რომლებმაც ბრენდინგულ საქმიანობაში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს. კვლევა ავლენს ბრენდის პოპულარობას. მისი მთავარი ფოკუსი, კომპანიათა მიერ ბრენდის პოპულარიზაციისთვის მიღებულ კრიატიულ გადაწყვეტილებებზეა ფოკუსირებული. კომპანიების კრეატიული გადაწყვეტილებები, ბრენდის სავაჭრო ნიშნის ცნობადობა და მისი პოპულარიზაციისთვის გამოყენებული პროექტები ტრადიციულად კვალიფიციურმა ექსპერტების ჯგუფმა შეაფასა.

**ნათია ჯინჭარაძე - *„Global Idea-ს გენერალური დირექტორი":*** „ბრენდის, სავაჭრო ნიშნის ცნობადობას და მისი პოპუალარიზაციისთვის გამოყენებულ პროექტებს 100-მდე ექსპერტი აფასებს, რომელთა ვინაობა საჯარო მხოლოდ ხმათა დათვლის შემდგომ ხდება. ნომინანტი ბრენდების შერჩევა მათი ცნობადობის, პოპულარობის, ასევე კომპანიის მიერ ამ ბრენდთან დაკავშირებით წარმოებული კრეატიული სარეკლამო კამპანიის გათვალისწინებით ხდება".

**გოჩა გოგილაშვილი - *PSP ჯგუფის გენერალური დირექტორი:*** „PSP ზედიზედ მეექვსედ დასახელდა „რჩეულ ფარმაცევტულ ბრენდად" „ოქროს ბრენდ 2010-ზე". ორმაგად სასიხარულოა, როდესაც მომხმარებლებიც და ექსპერტებიც ერთდროულად გვაღიარებენ ყველაზე წარმატებულ ფარმაცევტულ კომპანიად. PSP-ს გამარჯვება ნიშნავს იმას რომ ჩვენი კომპანია ყველაზე სანდო ფარმაცევტული კომპანიაა მომხმარებლისთვის. ურყევი ლიდერის პოზიცია გვაძლევს უფრო მეტ მოტივაციას მომავალშიც გავაგრძელოთ ზრუნვა ჩვენს მომხმარებელზე. ჩვენი კომპანიისთვის პრიორიტეტულია მომხმარებელზე მუდმივი ზრუნვა, მათთვის გარანტირებული ხარისხისა და ყველაზე დაბალი ფასების შეთავაზება, რასაც ჩვენი მომხმარებელი ხედავს და აფასებს".

***— რა გეგმები აქვს PSP-ს 2011 წელს?***

— სიახლეები იგეგმება PSP-ს ყველა ბიზნეს მიმართულებით. 2011 წელს PSP-ს სააფთიაქო ქსელი განარძობს გაფართოებას, ძირითადად რეგიონებში. უახლოეს მომავალში ფუნქციონირებას დაიწყებს PSP-ს მრავალპროფილიანი, 150 საწოლიანი, ევროპული სტანდარტების საავადმყოფო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური კადრით, აღჭურვილი იქნება უახლესი აპარატურით და დაასაქამებს 1000-ზე მეტ ადამიანს. წელს ოქტომბრის თვიდან დაიწყო ფუნქციონირება PSP-ს სამედიცინო დაზღვევამ, რომელიც წელსვე მნიშვნელოვან პოზიციებს დაიკავებს სადაზღვეო ბაზრის კორპორატიულ სეგმენტზე. გარდა ამისა, PSP-ს საწარმო GMP 2011 წელს გააფართოებს მედიკამენტების სპექტრს. ამ ეტაპზე, ფარმაცევტული საწარმო წარმატებით ახორციელებს მედიკამენტების ექსპორტს 7 ქვეყანაში და დაგეგმილია საექსპორტო პოტენციალის კიდევ უფრო ზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული წამლის საერთაშორისო დონეზე აღიარებას".

# სოროსი სააკაშვილს გადაეკიდა

## უკვე გადაწყვეტილია, რომელ ოპოზიციურ ალებს შეიყვანენ პარლამენტში

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან**

***— გასულ კვირას სახალხო კრებამ ღიად განაცხადა, რომ მაისის დასაწყისში შეუპოვარ ბრძოლაზე გადადიან და რომ ამ ქვეყანას რევოლუცია სჭირდება, რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***



— დღეს ქართულ ოპოზიციაში ფაქტიურად ორი მიმართულებაა. ორივე თანხმდება ერთ საკითხზე, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ერთი ამბობს, რომ ეს უნდა მოხდეს არჩევნების გზით, მეორენი კი ამბობენ, რევოლუციის გზითო. მე ვამბობ, რომ არანაირი რევოლუცია, კარგია არჩევნების გზით თუ შეიცვლება და ეს მოხდება, მაგრამ წარმოუდგენელია, ფაქტიურად შეუძლებელია სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა არჩევნების გზით მისცენ ადამიანებს საშუალება ნორმალური არჩევანი გააკეთონ. ისინი არსად წასვლას არ აპირებენ, ამიტომ რჩება საპროტესტო აქციები. ერთი ნაწილი ამას რევოლუციას ეძახის, პირადად მე ვაცხადებ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გრძელდება, უბრალოდ, აქ ახალ ტალღაზეა საუბარი. მე მოვუსმინე სახალხო კრების ამ განცხადებას, ვესწრებოდი პირადად ამ განცხადებას როცა აკეთებდნენ. აღდგომის შემდეგ ვიტყვით თარიღსო. კი ბატონო, თქვან, უნდა ითქვას, რომ ქართული პარტიაც ანალოგიურ განცხადებას აკეთებს და ჩვენ ვაკეთებთ კიდევ ანალოგიურ განცხადებას. ამიტომ კარგი იქნება, ეს ადამიანები, ვინც ამ მიმართულებაზე ფიქრობენ, პირველ რიგში, ტერმინოლოგიას დავაზუსტებდეთ და ასევე კარგი იქნება თუ დაივიწყებენ იმ მომენტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე ხნის წინ საგაზეთო სტატიების სახით და ის ძალები, ვინც ფიქრობენ ერთნაირად, დადგნენ და ერთნაირად დაიწყონ ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. აჯობებს, რომ მოხდეს შეთანხმება, დავუშვათ ერთი იწყებს 2 მაისს, მეორე 10 მაისს და მესამე 15 მაისს. ეს ცოტა არასერიოზულია. საერთოდ მე წინააღმდეგი ვარ თარიღების გამოცხადების, პროცესი უნდა მიმდინარეობდეს და პროცესმა უნდა მოიტანოს თვითონ ეს მომენტი. მე არავის გაკრიტიკება არ მინდა, უბრალოდ, ეს არ მესმის.

***— ფიქრობთ, რომ ეს ცოტა არასერიოზულია?***

— შეიძლება რაღაც კონკრეტულ თარიღში დანიშნო რაღაც აქცია, მაგრამ აქ ვიწყებ და აქ ვამთავრებ... ასე ბუნებაში არ ხდება. ვთქვათ, გადაწყვეტილი გაქვს აქცია — პარლამენტის პიკეტირება და სიტყვაზე, ვთქვათ, ამისთვის საჭიროა ორი ათასი კაცი და აქციაზე მოვიდა 500 ადამიანი, რას ეუბნები ამ ადამიანებს — დღეს, რადგან არ მოვიდა ბევრი ადამიანი, წადით სახლებშიო? ამიტომ არის, რომ რაღაც დღეების დაანონსება არ უნდა ხდებოდეს. ეს დაახლოებით როგორ არის იცით? ფეხმძიმე ქალმა რომ გამოაცხადოს, 15 მაისს ვიმშობიარებო და ვერ იმშობიარა 15 მაისს. ეს პროცესი როდესაც მოვა, ბუნებრივად იმშობიარებს მაშინ. აქ მთავარი რიცხვის დასახელება კი არ არის, განწყობა რომ არის საბრძოლო, ეს კარგია და უზარმაზარი სამუშაო აქვს ახლა ოპოზიციას იმისთვის ჩასატარებელი, რომ მუხტი აიწიოს. მე ხელოვნურ აწევას კი არ ვგულისხმობ, ის უზარმაზარი ნეგატიური დამოკიდებულება, რაც საზოგადოებაში არსებობს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური რესურსების მობილიზებით, უნდა მოხდეს სამუშაოს გადანაწილება, რათა მოხდეს ამ ხალხის ერთ მუჭად შეკვრა, ერთ დიდ ენერგიად, რომელიც უნდა მიმართო ამ რეჟიმის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი შეიძლება ისე უცებ მოხდეს, რომ ამას დღის გამოცხადებაც კი არ დაჭირდეს. ხელოვნურობა არ უხდება ამას. კომკავშირელებს ჰქონდათ ხოლმე, პირველ მაისზე მოხვალთ და ამდენ კაცს მოიყვანთ და ასე შემდეგ. ეს არ ვარგა, წამგებიანია და დღეს ამით ვერასდროს ვერ მოიგებ. ეს უნდა დაიწყოს, როგორც ზვავი, რომ მოდის, დაიწყოს პატარა თოვლის გუნდასავით და ჩაიტანოს მერე რაც ჩასატანია. ასე უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი ძალიან არასერიოზულია.

***— რაც შეეხებათ იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც საარჩევნო კუთხით მუშაობენ? მათ მუშაობას რამდენად ექნება შედეგი?***

— შედეგი არ ექნება არანაირი. შედეგი უკვე არა აქვს ამას, იმიტომ, რომ მარტო ბიომეტრიულ სურათზე აპელირება, რასაც მე ბოლო დღეებია ვუსმენ, არ არის მთლად მართებული. ვისაც კარგად ესმის საარჩევნო კანონმდებლობა, უნდა დაჯდეს ჩვენთან ერთად და ყველაფერს ავუხსნით. ჩვენ ამის თაობაზე სემინარებიც გავმართეთ. უფრო მეტიც, გახსოვთ, ადვოკატებმა ჩავატარეთ აქცია თვითმმართველობის არჩევნების წინ და ვთქვით, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს, ხელისუფლება ამ არჩევნებს მაინც გააყალბებს და მოვითხოვეთ ათი მუხლის შეტანა საარჩევნო კანონმდებლობაში. მე იმ პერიოდში ყველა ოპოზიციური პარტია მოვიწვიე, თან დავახვედრე საკმაოდ მაღალი დონის იურისტები და ვუთხარით ამ ხალხს, რომ ამ კოდექსით არჩევნებში მონაწილეობას აზრი არა აქვს. ეს იყო მინიმუმ ათი ცვლილება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა არჩევნები არ გაყალბებულიყო და გეთანხმებითო, მათაც მითხრეს, მაგრამ მაინც წავიდნენ და არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. ეს უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ამის შემდეგ იმ ათი პუნქტიდან ახლა ექვსი აქვთ შეტანილი ამ მოლაპარაკებებზე, რომელიც ახლა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ისრაელმა ვერა ქობალიასაც უარი უთხრა

ნათია ხურცილავა

**ლიბიაში მიმდინარე პროცესები იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული ტრადიციული პრესკონფერენციის მთავარი თემა. მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ კოალიციური ჯარების მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის მიმართ განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ჩვენ არ ვართ კოალიციის წევრი ქვეყანა და შესაბამისად ამ გადაწყვეტილების მიმართ მხარდაჭერას ვერ გამოვთქვამთ. თუმცა, ცნობილია, რომ საქართველოს ხელისუფლება მიესალმა გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციას.**

კალანდაძემ განცხადება იაპონიაში განვითარებულ კატასტროფაზეც გააკეთა. მისი თქმით, ჯერ არ იგეგმება დიპლომატების ოფიციალური ევაკუაცია.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს საელჩო იაპონიაში აგრძელებს მუშაობას.

— ცნობილი გახდა, რომ სამწუხაროდ, ტოკიოს წყლებში დაფიქსირდა იოდის და ცეზიუმის რაოდენობის მატება, რაც ჩვენი ინფორმაციით, სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ არის, მაგრამ ფაქტი, რომ ტოკიოს წყლებში დაფიქსირებულია მინარევების მატება, თავისთავად საგანგაშო ფაქტია. მიუხედავად ამისა, ჯერ არ იგეგმება დიპლომატების ოფიციალური ევაკუაცია. რამდენიმე ქვეყანამ დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავიანთი წარმომადგენლები სამხრეთ ნაწილში გადაეყვანათ, თუმცა მასობრივი ხასიათის ევაკუაციას დიპლომატიურ კორპუსში ადგილი არ აქვს. ადგილზე რჩებიან საქართველოს დიპლომატებიც, მაგრამ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, როგორ განვითარდება მოვლენები და თუ ვითარება სტაბილიზაციისკენ არ წავა, მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. ამ ეტაპზე ასე კრიტიკულად არ ფასდება ვითარება, — განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს წარმომადგენლობას ტოკიოში უკრაინის საელჩო დაუკავშირდა, რომელმაც დახმარება შესთავაზა. კიევის საგანგებო დავალებათა თვითმფრინავები ტოკიოში ჩაფრინდებიან და საკუთარ მოსახლეობას გამოიყვანენ იაპონიიდან, შესაბამისი დახმარება იქნა შეთავაზებული საქართველოს მოსახლეობისთვისაც.



საქართველოს 24 მოქალაქიდან, რომლებიც ტოკიოში იმყოფებიან, აღნიშნულ შეთავაზებაზე, გარდა ერთისა, უარი ითქვა.

— შეიძლება ქართული თვითმფრინავებიც გაფრინდნენ იაპონიაში და, შესაბამისად, თუ რეალურად გამწვავდება ვითარება, შესაძლებლობა გვექნება, რომ საქართველოს მოქალაქეებს დავეხმაროთ, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

საქართველოში იაპონიის წარმომადგენლობისგან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობამ თავი შეიკავოს ნებისმიერი სახის დახმარებისგან ამ ეტაპისთვის, გარდა ფულადი დახმარებისა, რომლის გადაწყვეტილებაც მიიღო მთავრობამ.

იაპონიას ამ ეტაპზე არა აქვს რესურსი, მიიღოს როგორც სამაშველო ჯგუფები, ასევე ჰუმანიტარული დახმარება, გარდა წყლით მომარაგებისა. საქართველო 45 ტონა წყლით მოამარაგებს იაპონიას.

ნინო კალანდაძემ პრეზიდენტ სააკაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი შეაფასა. მისი თქმით, სტრატეგიული შეხვედრები გამართა პრეზიდენტმა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან.

— ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, ერთსულოვანია საგარეო პოლიტიკის, განსაკუთრებით საგარეო პარტნიორების მიმართ. შესაბამისად ერთსულოვანია საქართველოს მიმართ როგორც შიდა პოლიტიკური დემოკრატიული პროცესების, ასევე საგარეო პოლიტიკური ფაქტორების მიმართ, კერძოდ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების მიმართ. რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე, — განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კვირის სამუშაო ვიზიტებზეც გაკეთდა განცხადება.

23 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით გაემგზავრება პორტუგალიის რესპუბლიკაში, სადაც შეხვედრას გამართავს პორტუგალიელ კოლეგასთან და განხილული იქნება როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატის საკითხები.

25 მარტს ნორვეგიის სამეფოში გამართავს სამუშაო ვიზიტს საქართველოს პირველი დიპლომატი, სადაც შეხვედრები გაიმართება როგორც უშუალო კოლეგასთან, ასევე თავდაცვის მინისტრთან და მესამე ვიცე-პრეზიდენტთან.



საქართველოში ვიზიტით იმყოფება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი კარლს ვამერსი, რომელიც მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

ვამერსი, როგორც ცნობილია, საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით გამოირჩევა, ის მომხრეა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის.

ნინო კალანდაძემ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ გამართული მოლაპარაკების პირველი რაუნდის შედეგებზე კომენტარი გააკეთა.

— შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მოლაპარაკების შინაარსის და მსვლელობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გახმაურდებოდა. ეს იყო პირობა. თუმცა, სამწუხაროდ, საკმაოდ სწრაფად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონი ლავროვის მხრიდან დაირღვა ეს პირობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცავთ ჩვენს პირობას. მოლაპარაკების დეტალების შესახებ ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ. ჩვენს ინტერესშიც შედის, რომ ეს მოლაპარაკებები წარიმართოს. შემდეგი რაუნდი უახლოესი თვენახევრის განმავლობაში წარიმართება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასევე სამწუხარო ფაქტია, რუსული მედიის მხრიდან უკვე ძალიან მიკერძოებული პოზიცია გაჟღერდა, თითქოს მოლაპარაკებები ჩაიშალა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ეს არის მიზანმიმართული კამპანია, რომელიც მოლაპარაკებების ჩაშლისკენ არის მიმართული. თითქოს ეს მოლაპარაკებები განწირულია, ეს არის მიზანმიმართული კამპანია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს და მზად ვართ კონსტრუქციულად მონაწილეობა მივიღოთ ამ დიალოგში, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

დავით ბაქრაძის ვიზიტის შემდეგ ისრაელში ეკონომიკის მინისტრის ვერა ქობალიას ვიზიტი გაუქმდა. მიზეზად ისევ ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტი სახელდება. აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

— ჩვენთვის ოფიციალური მიზეზის შესახებ ჯერ არ განუცხადებია ისრაელის წარმომადგენლობას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ კონსულტაციები გაიმართოს, რაშიც დაინტერესებას ებრაული მხარე იჩენს. რაც შეეხება ვიზიტის გადადების ფაქტს, ეს ახალი ინფორმაციაა. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იგივე მიზეზებს ეფუძნება, რა მიზეზებიც ოფიციალურად დასახელდა დავით ბაქრაძის ვიზიტის გადადების შემთხვევაში. თუმცა, დეტალებს ელჩთან გასაუბრების შემდეგ დავაზუსტებთ, — განაცხადა კალანდაძემ.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# სოროსი სააკაშვილს გადაეკიდა

მიმდინარეობს. ფაქტიურად ექვსივეზე უარს აცხადებს ხელისუფლება. დღეს ხელისუფლება არაფერზე წამომსვლელი არ არის. რვიანმა თუ შეხედა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდა და სერიოზული საპროტესტო ტალღა დაიწყო, მინდა გითხრათ, რომ რადიკალურ ოპოზიციას გაგვასწრებენ და ჩვენზე წინ დადგებიან ისინი.

***— რვიანში შემავალი პარტიები აცხადებენ, რომ ხელისუფლება საარჩევნო რეჟიმზეა გადასული და ჩვენც არჩევნებისთვის ვემზადებითო...***

— გეთანხმებით, რვიანიდან რამდენიმე პარტია უკვე გადასულია ამ რეჟიმზე, საარჩევნო კამპანიას აწარმოებს. ასევე გადასულია ხელისუფლებაც. მათ სქემა უკვე დამუშავებული და დადებული აქვთ. რამდენიმე ოპოზიციური პარტია აპირებს შევიდეს პარლამენტში. მათ აქვთ უკვე სია თუ ვინ უნდა შეიყვანონ. მინდა გითხრათ, რომ მე ნამდვილად არ მოვიაზრეები იმ პარლამენტში, არც ბურჯანაძე არ მოიაზრება, არც ქართული პარტია და კიდევ ბევრი პოლიტიკური ძალები არ მოიაზრებიან. იქ უკვე ადგილები გადანაწილებულია, მაგრამ ერთი რამე დაიმახსოვრონ, დავუნგრევთ მაგ ყველაფერს. ეხება ეს ხელისუფლებასაც და იმ ოპოზიციასაც, ვინც გარიგებაშია შესული ხელისუფლებასთან. ყველაფერი დაენგრევათ და გაყვებიან უკან სააკაშვილს. მათ თუ ჰგონიათ, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით, ძალიანაც ცდებიან. რუსეთში ვისთანაც აპირებენ ფეესბეში ჩასვლას და მოლაპარაკებას, რომ აი, ჩვენ ნებართვა მოგვცეს, რომ შევიდეთ პარლამენტში. ამ დღეებში აპირებს რამდენიმე ლიდერი მოსკოვში ჩასვლას და რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას, ამ ყველაფერს დავუდებთ წინ.

***— რაც შეეხება ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებს, საკმაოდ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობსო...***

— მაგათ დაუწყვეტიათ ერთმანეთი. თუმცა ის ყველაფერი, რაზეც ამ დღეებში საუბრობენ, ყველაფერი ზღაპარია. ეს არის დეზინფორმაცია, რაც გამოდის ხელისუფლებიდან. არ დაიჯეროთ თქვენ, რომ ეს კურდღლები, რომლებსაც დამპალი ხორცის ნაჭრები ეძახა სააკაშვილმა ტბის პირას გამართულ მთავრობის სხდომაზე, ამათგან რომელიმე გამოვა და სააკაშვილს დაუპირისპირდება, ან მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას დაიწყებს. ეს არის დეზინფორმაცია. მე გეტყვით იქ რაც ხდება, სააკაშვილს უნდა, რომ დარჩეს პრემიერ-მინისტრად, გარკვეულ ძალებს კი არ უნდათ, რომ სააკაშვილი იყოს პრემიერი.

***— ვინ არიან ეს ძალები?***

— ბოკერია, უგულავა და მისთანები. ეს სერიოზული ძალებია, ბენდუქიძეც ჩართულია ამ პროცესებში და ეს მომენტები მუშაობს, მაგრამ სანამ სააკაშვილი არ იტყვის, აღარ მინდა, ბატონო, აქ ყოფნა და წავალო, ეს ის ხალხი არ არის, ვინც სააკაშვილს ასე მარტივად მოიშორებს. წრიალებენ, მუშაობენ, დაძვრებიან, დარბიან. გეტყვით, ახლა როგორი რამ მოხდა, საფრანგეთის საელჩოს ადვოკატები არაერთ ინფორმაციას ვაწვდით და ელჩი საკმაოდ ინფორმირებულია ბევრ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სოროსის ფონდი ანუ ფონდი ღია საზოგადოება ყოველთვის აწვდიდა ისეთ ინფორმაციებს საელჩოებს, რომ თითქოს აქ ყველაფერი კარგად არის. თუმცა 4 დღის წინ საფრანგეთის ელჩს შეხვდა სოროსის ფონდი და მას უდებენ ისეთ მასალებს, საფრანგეთის ელჩი გაგიჟდა, რომ იტყვიან, დეპრესიაში ჩავარდა კაცი, იმნაირი მდგომარეობაა. როგორც გითხარით, ის იყო საქმის კურსში, რაც ხდება რეალურად ქვეყანაში, ჰააგის სარჩელიც გავაცანი, მაგრამ სოროსის ფონდმა იმდენად სკანდალური მასალები გამოიტანა, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია, რომ ელჩი გაოგნებული იჯდა, ამას რას ვისმენო. საქმე იცით რაში მდგომარეობს?

***— რაში?***

— საინტერესოა, სოროსის ფონდმა როდის მერე დაიწყო სააკაშვილის ლანძღვა-გინება?! აი, ზუსტად ბოკერიას ის გუნდი, სოროსელების ის გუნდი ამოქმედდა ახლა და მუშაობენ სააკაშვილის წინააღმდეგ. თუმცა გეუბნებით, რომ მარტო ამას ვერ შეძლებენ და ამისთვის სჭირდებათ გარკვეული ოპოზიციური ძალები, რომლებიც შევლენ მათთან გარიგებაში. გეტყვით იმასაც, რომ ასეთი ძალები ბოკერიას უკვე მოძებნილი ჰყავს. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციის გარკვეულმა გათახსირებულმა ნაწილმა უკვე გარიგება დადო ამ გუნდთან. მე ამ შემთხვევაში რვიანი არ მყავს მხედველობაში, აბსოლუტურად სხვა ძალებია აქ. სულ სხვა თამაში მიდის. სააკაშვილს პრემიერმინისტრობა უნდა, ამის შესახებ ამერიკაში ღიადაც განაცხადა.

***— რამდენად ექნება ამ შემთხვევაში დასავლეთის მხარდაჭერა?***

— თუ გგონიათ მას რამედ ანაღვლებს, დაუჭერს თუ არა მხარს დასავლეთი, ძალიან ცდება საზოგადოება. ევროკავშირი პირდაპირ ლაპარაკობს ამ ადამიანის შესახებ, რომ ეს არის ტირანი, თუმცა არის ორმაგი სტანდარტები, სადაც ამერიკას უწევენ ანგარიშს. ერთადერთი საქართველო დარჩა, სადაც არ ჩამოუგდიათ ამერიკის მიერ მოყვანილი ხელისუფლება. იცით, რომ ამერიკის მიყვანილი და დანიშნული ხალხი ყველგან გადმოყარეს თავდაყირა. ისინი ფიქრობენ, რომ საქართველოში შენარჩუნებული უნდა იქნას ეს სიტუაცია და უნდა მოხდეს ხელისუფლების ისეთი ჩანაცვლება, რომ აქ პროამერიკული კურსი შენარჩუნებულ იქნას. თუმცა სააკაშვილს თავისი გეგმები აქვს. ფაქტია ისიც, რომ სააკაშვილი ამერიკასთან თამაშობს, თამაშობს იმითი, რომ აგერ ირანთან საზღვარი გახსნა. ჩრდილოკავკასიელებს უვიზო რეჟიმი მისცა. ამერიკელებმა კი მშვენივრად იციან, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია და ფეესბესთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფება. ამერიკელებმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან. ამიტომ ისინიც თამაშობენ. ეს ყველაფერი კი მეც და ქართველ საზოგადოებასაც ნაკლებად აინტერესებს. ეს არის იმ სქემის ერთ-ერთი წახნაგი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, რომ სააკაშვილი პრემიერი გახდება, ან არ გახდება, ბოკერია ჩაანაცვლებს თუ არ ჩაანაცვლებს. ეს ყველაფერი ერთი თამაშის სხვადასხვა წახნაგებია, რომელშიც მაინც ერთი ძალა რჩება გამარჯვებული, არადემოკრატიული და არაეროვნული ძალა. მე ვსაუბრობ სულ სხვა რამეზე. ასევე გეტყვით იმის შესახებაც, რომ იმ პარტიებში, რომლებიც ამბობენ, რომ რევოლუცია გვინდაო, საკმაოდ საეჭვო რამ შეიმჩნევა...

***— რას გულისხმობთ, ან ვისზე საუბრობთ?***

— მე არ დავიწყებ დღეს გვარების დასახელებას, ეს ყველაფერი ბრძოლის დროს გამოჩნდება ვინ ვინ არის და როგორ არის და რამდენად გააზრებული აქვთ, რა უნდა მოხდეს და როგორ უნდა მოხდეს. ყველა ეს სქემა უნდა დაიშალოს და მთელ მსოფლიოს, მათ შორის ამერიკასაც და რუსეთსაც ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ თქვენი აგენტები და სქემები კი არ უნდა მუშაობდეს აქ, ჩვენ ვართ, ქართული პოლიტიკა ვართ აქ. კი ბატონო, პარტნიორულ ურთიერთობაზე პრობლემა არ არის, ამისთვის მზად ვართ, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტის ნაცვლები ინიშნებოდნენ და სათლის დონეზე იყოს აქ პოლიტიკა აწყობილი, ჩვენ ეს აღარ გვინდა და ამას წერტილი უნდა დავუსვათ. ეს არის ჩვენი მიზანი. დღეს ბევრი ოპოზიციური პარტია კი ისეთ თამაშებს თამაშობს, რასაც მე და ჩემი პარტიის წევრები არასდროს ვიკადრებთ.

***— ალბათ ეს არის ჩვენი პრობლემა, რომ ყოველთვის არსებობენ ისეთი ოპოზიციური ძალები, რომლებიც ხელისუფლებას ურიგდებიან და მის თამაშს თამაშობენ...***

— გეთანხმებით, არის ეს და საზოგადოებას წარმოდგენაც არა აქვს, რა ძალებზეა საუბარი. რომ გაიგონ, რა ძალებზეა საუბარი, შეიძლება ბევრმა ინფარქტიც მიიღოს და შოკიდანაც ვერ გამოვიდნენ. მე არ ვიცი ეს ტყუილია თუ მართალი, მაგრამ ეს ინფორმაციები ჩვენამდე მოდის. თუმცა ამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თუ ეროვნული ძალები მოვლენ ხელისუფლებაში, რა თქმა უნდა, ეს უშიშროების არქივები გაიხსნება და ეს ხალხი გამოაშკარავდებიან. საუბარი მაქვს იმ ხალხზე, ვინც წლების განმავლობაში სხვადასხვა ხელისუფლების დაკრულზე ცეკვავდნენ და ასრულებდნენ ანტიქართულ ქმედებებს. ვთვლი, რომ ისინი ისეთივე დამნაშავენი არიან, როგორიც ეს ხელისუფლება. ამიტომეს ძალები დღეს ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სააკაშვილის რეჟიმი იქნას შენარჩუნებული. რადგან თუ სააკაშვილის რეჟიმი აღარ იქნება, მათი ფუნქციაც იკარგება. თუმცა ფუნქციას დაკარგავენ თუ არა, ეს დიდად არ აღელვებთ, მათი სადარდებელი ის არის, რომ კარგი ცხოვრების საშუალება ეკარგებათ. მე მათი გვარებიც ვიცი, მაგრამ რაღაც მომენტების გამო ჯერ თავს ვიკავებ ამის დასახელებისგან. დღეს მათ ჰაერივით სჭირდებათ სააკაშვილი და მისი რეჟიმი. თუ მოვა ეროვნული ძალა, რა თქმა უნდა, მათ გაუშვებს პოლიტიკურ სანაგვეზე და სწორედ ამიტომ ხდება ეს ყველაფერი. კიდევ გავიმეორებ, ხალხი მეცოდება, რადგან ბევრი იმნაირი გვარი ტრიალებს, შოკის მომგვრელია.

# ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს გასაქანს არ გვაძლევენ

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან

***— ბატონო გიორგი, უკვე ცნობილია, რომ ოპოზიცია აპრილიდან გეგმავს აქციების დაწყებას, თუ შეუერთდებით ამ აქციებს და როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის კიდევ ერთი მცდელობა თუ იქნება შედეგის მომტანი?***

— მე დაანონსებული თარიღების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, როდესაც პარტია ასახელებს ხელისუფლების დასრულების თარიღს, ეს არის სიბრიყვე. ყველამ კარგად ვიცით, რომ არაერთხელ უშედეგოდ დასახელდა ასეთი თარიღები, საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა საზოგადოებაში ოპოზიციის მიმართ გამოიწვია იმედგაცრუება. სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ რაიმე კონკრეტულ შედეგზე იყოს ოპოზიციის განცხადებები ორიენტირებული, ჩვენ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ საზოგადოება არ არის მზად რევოლუციისთვის, ეს არის ფაქტი და თუ ვინმეს უნდა, რომ ყურადღება მიიქციოს მწვავე განცხადებების გაკეთებით, ეს უკვე მისი პრობლემაა და როგორ აისახება გარკვეულ პერიოდში ეს ყველაფერი მის იმიჯზე, ეს სულ მალე გამოჩნდება. მათ მიერ გაკეთებული ასეთი სულელური განცხადებები ხშირ შემთხვევაში იმიჯს ულახავს მთლიანად ოპოზიციურ სპექტრს. ვფიქრობ, რომ თითოეული პოლიტიკოსი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ჩვენ გვყავს ერთი ელექტორატი და არ შეიძლება ერთმა რომელიმე პოლიტიკოსმა თავისი უპასუხისმგებლობით დააზარალოს მთლიანად ოპოზიციური სპექტრი. გასული წლების აქციებს თუ გავიხსენებთ, ის აქციები ჩიხში შეიყვანეს ოპოზიციის იმ ლიდერებმა, ვინც ამ აქციებს უდგნენ სათავეში. ნამდვილად მიუღებელია, როდესაც ადამიანთა რომელიმე ჯგუფი აპროტესტებს რაიმე საკითხს და იქ სასწრაფოდ გაჩნდება ისეთი ოპოზიციური ძალა, რომელიც საზოგადოებაში არ სარგებლობს დიდი რეიტინგით. ვაღიაროთ, რომ დღეს ოპოზიციის სანდოობის რეიტინგი ნულამდეა დასული. ოპოზიციამ საზოგადოებას უნდა მისცეს საკუთარი ძალების რეალიზაციის საშუალება, ვინაიდან ჩვენ ვნახეთ ოპოზიციის არაერთი მარცხი და ღალატი. თუნდაც ავიღოთ დევნილთა აქციები, რომელიც რამდენიმე თვის წინ იმართებოდა, ყველამ კარგად დაინახა, რომ ამ აქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. უმჯობესი იქნება, თუ ოპოზიცია განზე გადგება და ტრიბუნას ხალხს დაუთმობს. საზოგადოებამ თავად უნდა დაანახოს თავისი ძალა ხელისუფლებას. მე ვფიქრობ, რომ მეტი კეთილგონიერება მართებს ხელისუფლებას, ვინაიდან მათ ხალხთან ლაპარაკი ნამდვილად გაუჭირდებათ, ხალხს უკვე აღარც ოპოზიციის სჯერა და არც ხელისუფლების, რამაც შესაძლოა პროცესები უმართავი გახადოს. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა კრიზისმა, ამ კრიზისის დასაძლევად ხელისუფლება არაფერს აკეთებს, მდგომარეობა კი დღითიდღე მძიმდება. ფასები გაიზარდა კვების პაროდუქტებზე, მედიკამენტებზე, ქვეყანაში იმატა უმუშევრობამ, არ იზრდება ხელფასები და პენსიები, ეს ყველაფერი ქმნის ნოყიერ ნიადაგს სოციალური აფეთქებისათვის. ასეთ ვითარებაში ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამონახოს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი. ხალხი გამოვა ქუჩაში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასე ცხოვრება აღარ შეუძლია, ეკონომიკურ მოთხოვნებს უკვე მოყვება პოლიტიკური მოთხოვნებიც, რაც ვფიქრობ, ხელისუფლებისათვის ძალიან ცუდად დამთავრდება. ყველაფრის მიუხედავად, მე წინააღმდეგი ვარ რევოლუციის გზით შეიცვალოს ხელისუფლება, ყველაზე სწორი და მისაღები იქნება, ჩვენ ყველანი გადავერთოთ წინასაარჩევნო პერიოდზე და ვემზადოთ არჩევნებისთვის. მე ვიცი ერთი რამ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ არის შესაცვლელი, უნდა შეიცვალოს ეს ხელისუფლება და ჩვენ ეს უნდა მოვახდინოთ არჩევნების გზით, ამ გზას ალტერნატივა არ აქვს.



***— ფაქტია, რომ ეს ხელისუფლება არის შესაცვლელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არჩევნების გზით ჩვენ ვერ ვიღებთ იმ სურათს, რაც საზოგადოების განწყობას სრულად ასახავს.***

— ჩვენ ვიღებდით მონაწილეობას ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში, ჩვენ მოგვპარეს ხმები, ამოიღეს სიებიან ჩვენი მხარდამჭერები, მაგრამ თუნდაც რომ არ ამოეღოთ მხარდამჭერები სიებიდან, ბუნებრივია, მე ვერ გავხდებოდი ქალაქის მერი, ანუ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება ვერ წავა იმ დონის გაყალბებაზე, რომ არსებითად შეცვალოს ის ვითარება, რასაც არჩევნები მოგვცემს. მართალია ხელისუფლება იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, კიდევ გაყალბების სხვა გზებს, რაშიც საკმაოდ დახვეწილები არიან, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩვენ პირველ რიგში უნდა ვიმუშაოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, უნდა ვიმუშაოთ ჩვენს ელექტორატზე, უნდა მოძლიერეს ოპოზიციური სპექტრი, ხელისუფლებაზე უნდა მოვახდინოთ ზეწოლა, რომ მათ ვერ გაბედონ არჩევნების გაყალბება. თუ საზოგადოება იქნება აქტიური, მერწმუნეთ, ხელისუფლება ვერ წავა მასშტაბურ გაყალბებაზე. ხშირად ავლებენ პარალელს იმ ქვეყნებთან, სადაც რევოლუციის გზით შეიცვალა ხელისუფლება და ამბობენ, რომ შესაძლოა საქართველოშიც იგივე განმეორდეს, მაგრამ იქ რადიკალურად განსხვავებული სურათი იყო, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ ოპოზიცია გაცილებით ძლიერი იყო. დღეს საქართველოში ეს ვითარება ნამდვილად არ არის და ჩვენი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, წამგებიანი იქნება ქართული სახელმწიფოსთვის კიდევ ერთი რევოლუციის გადატანა. მე ვეთანხმები ყველა იმ ადამიანს, ვისაც მიაჩნია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ არჩევნებს არ აქვს ალტერნატივა და ვემზადოთ არჩევნებისთვის. თუ ოპოზიცია იქნება ძლიერი, ეტაპობრივად მოხდება ხელისუფლების ჩანაცვლება.

***— საარჩევნო გარემო რამდენად არის მზად იმისათვის, რომ ჩვენ მივიღოთ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები?***

— საარჩევნო გარემო არის დასახვეწი, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პოლიტიკური პარტია დადგეს პარიტეტულ საწყისებზე, უნდა დაწესდეს გარკვეული ბალანსი ყველა პარტიის მიმართ და ყველა უნდა იქნეს თანაბარ ვითარებაში ჩაყენებული. თავისთავად ძალიან ბევრი თვალსაზრისით საარჩევნო კოდექსი არის დასახვეწი, ნამდვილად არ გვაქვს ჩვენ იდეალური კოდექსი, ამიტომ უნდა მოხდეს საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესება საპარლამენტო არჩევნებამდე. ჩვენ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩავატაროთ ახალი კოდექსით და ოპოზიციამ უნა მიაღწიოს იმას, რომ ჰქონდეს უკეთესი შესაძლებლობები თითოეულ ოპოზიციურ პარტიას. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ფრონტის ხაზი დღეს გადის საარჩევნო კოდექსზე და ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი. ხელისუფლება ნამდვილად სცოდავს, როდესაც რამდენიმე „პრივილეგირებულ“ პარტიასთან აწარმოებს კონსულტაციებს საარჩევნო კოდექსთან მიმართებაში, ეს თავისთავად არის სხვა პოლიტიკრი პარტიების იგნორირება. ამიტომ მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, რომ დაანებოს თავი მისთვის სასურველი პატიების წარმოჩინებას.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ნიშნით შეირჩა ეს პარტიები?***

— მოგიყვანთ ერთ მაგალითს, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე განიხილებოდა საეთერო დროის საკითხი, მაშინ განაცხადეს, რომ ისინი ეთერს დაუთმობდნენ კვალიფიციურ სუბიექტებს, როგორც ჩანს, დღესაც ამ კრიტერიუმით ხელმძღვანელობს. ეს ხელისუფლება, დამხმარე ინსტიტუტებთან ერთად ახდენს მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების იგნორირებას, ეს არის ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ეს ეს არის გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩვენ არ გვაქვს ის საშუალებები, რაც აქვს იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ პარლამენტში ან ქალაქის საკრებულოში წარმომადგენელი. ფაქტია, რომ ბევრმა ოპოზიციურმა პარტიამ ვერ გაამართლა ხალხის იმედები და საჭიროა ამ ძალების ჩანაცვლება ახალი ოპოზიციური ძალებით. როგორც ჩანს, ხელისუფლება ძალიან აქტიურად უშლის ხელს მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს პოლიტიკურ ორბიტაზე გააქტიურებაში იმ თვალსაზრისით, რომ პოლიტიკოსს არ აქვს ტრიბუნა, არ ეთმობა საეთერო დრო, რათა საზოგადოების ფართო მასებს გააცნოს თავისი პარტიის პოზიციები. რაც არ უნდა კარგი იდეები და გეგმები ჰქონდეს პარტიას, ამას ვერ მიიტანს ფართო მასებამდე. ამ დროს გზა ხსნილი აქვთ დისკრედიტირებულ ოპოზიციურ ლიდერებს, ვინც ქართველი საზოგადოება არაერთხელ შეიყვანა შეცდომაში. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკა, რათა საზოგადოების თვალში მთლიანად ოპოზიცია წარმოადგინოს იმ ადამიანების სახით, ვისაც საზოგადოებაში არანაირი რეიტინგი და საზოგადოების ნდობის მანდატი არ გააჩნია. ბუნებრივია, ეს აწყობს ხელისუფლებას და საერთო ჯამში მე მიმაჩნია, რომ ჯანსაღი ოპოზიციური ძალები უნდა გააქტიურდნენ და რეალურად დავანახოთ ქართველ საზოგადოებას, რომ საქართველოში არის ისეთი ოპოზიცია, რომელსაც შეუძლია მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და გაამართლოს მათი იმედები.

# რატომ არ აძლევენ აფხაზებს საქართველოს მოქალაქეობას

გულიკო ბალაძე

**დღევანდელი კანონმდებლობით, აფხაზეთში მცხოვრები აფხაზისთვის, რომელსაც აფხაზური პასპორტი აქვს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობა სურს, პრობლემაა ქართული პასპორტის მიღება.**

2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მაგრამ ეს პრობლემა ამ კანონმაც ვერ დაარეგულირა ისე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, მაგალითად, აფხაზებს, სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობის მიღება და ქართული პასპორტის აღება შეძლებოდათ.

ირკვევა, რომ ბოლო პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობაში გაჩნდნენ ქართული პასპორტის მიღების მსურველი ადამიანები. მათ შორის, აფხაზები, მაგრამ ქართული კანონმდებლობა მათ ამის საშუალებას არ აძლევთ.

ერთ ასეთ ფაქტთან დაკავშირებით დევნილთა კონგრესის თავმჯდომარე დავით გულუა საუბრობს.

დავით გულუა აცხადებს, რომ კანონმდებლობაში შექმნილი კაზუსური ვითარების გამო, აფხაზთა ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაცია შეუძლებელი ხდება.

— კანონმდებლობაში ვერ მოვაგვარეთ კაზუსური სიტუაცია, რომელიც დღეს აფხაზეთში მაცხოვრებელ ადამიანებს პრობლემებს უქმნის, — განაცხადა დავით გულუამ.



***— ბატონო დავით, კონკრეტულად, რა პრობლემები ექმნებათ აფხაზეთის მაცხოვრებლებს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული კაზუსური სიტუაციის გამო?***

— რამდენიმე მაგალითს გეტყვით. აფხაზი ცოლად გაჰყვა ქართველს... მათ ომის შემდეგ იქორწინეს, ახალგაზრდები არიან, 3 და 6 წლის შვილები ჰყავთ და საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდნენ. მათ გააჩნიათ ბავშვის დაბადების საბუთები აფხაზურ ენაზე, რომელსაც ჩვენი კანომდებლობა არ ცნობს. ისინი ამბობენ: ჩვენ ხომ საქართველოს მოქალაქეები ვართ, ის არის ჩემი მეუღლე. მას აქვს დაბადების მოწმობა და მოგვეცით პასპორტიო; მეუღლეს აქვს ასევე საბჭოთა კავშირის პასპორტი, რომელიც ადასტურებს, რომ დაიბადა გუდაუთაში; მათ აქვთ ბავშვების დაბადების მოწმობები. ისინი აცხადებენ, გვინდა საქართველოში ცხოვრება, გვინდა მივიღოთ ქართული პასპორტები, გვინდა ბავშვებს მივცეთ ქართული დაბადების მოწმობები და შევიდნენ ქართულ სკოლაში. გვინდა, მათ აქ ჩვეულებრივად ისწავლონო. ამ პიროვნებებს საქართველოს სახელმწიფო, ფაქტობრივად, უარს ეუბნება.

***— ქართულ სასამართლოს რომ მიმართონ?***

— სასამართლოზე მისამართი რა სჭირს ქართველს იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქე მოიყვანოს ცოლად, შემდეგ კი მათ პასპორტები მიიღონ? ხომ ვიცით, რომ აფხაზეთი ჩვეულებრივი რეგიონი არ არის? ეს არ ეხება ლაგოდეხის რაიონს ან სენაკს. ეს ეხება გუდაუთას.

***— რა გვარები არიან ისინი?***

— მათ არ სურთ, გაზეთში მათი გვარები გახმოვანდეს, რადგან შეიძლება პრობლემები შეექმნათ. თუმცა, თქვენ შეიძლება იცოდეთ. ისინი თვეობით დადიან და ეს საკითხი ვერ გადაწყვიტეს. სკოლაში ეუბნებიან, თქვენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხართ, უცხო ქვეყნის შვილები გყავთ და ფული უნდა გადაიხადოთ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეები იხდიანო. თუ საქართველოს მოქალაქეობა გინდათ, წადით რუსეთში და იქიდან დოკუმენტებით ჩამოდითო...

***— რამდენია გადასახადი?***

— უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სკოლაში სწავლის საფასური 380 ლარია. მათ კი ამის საშუალება არ აქვთ.

***— რომელი ქვეყნის მოაქალაქეები ხართო, არ უთხრეს?***

— არ ვიცი. უთხრეს, საქართველოსი არ ხართო. საქართველოს მოქალაქეები გახდებიან, თუ წავლენ რუსეთში, აიღებენ რუსულ პასპორტს, იქ აიღებენ ვიზას, ვიზით შემოვლენ საქართველოში, შემდეგ მოითხოვენ საქართველოს მოქალაქეობას და, ალბათ, ერთი წლის შემდეგ მისცემენ. ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე, არ იციან, რამდენ ხანში ექნებათ პასპორტი. ეს არის ფაქტი.

დღეისათვის გაეროს პროგრამა მუშაობს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად. ამ პროგრამის ფარგლებში აფხაზეთიდან თბილისში ავადმყოფები ჩამოჰყავთ და მკურნალობენ. ეს ეხება ტუბერკულოზს (რომელიც აფხაზეთში ძალიანაა გავრცელებული), შიდსით დაავადებულთა მკურნალობას და ექსტრემალური სიტუაციების დროს დაზარალებულებს. ეს არის ძალიან კარგი პროგრამა, რომელიც აკეთებს ძალიან დიდ საქმეს. თითოეული ადამიანი, რომელიც აქედან ნამკურნალევი, მიხედული დაკმაყოფილი ჩადის, იქ გარკვეულ გარემოს ქმნის. აფხაზეთში 18 წელიწადია საქართველოზე უარყოფითის და საგინებლის გარდა არაფერი ისმის. ამით იზრდება ახალი თაობა, რაც ყველაზე უარესია. ამ დროს ჩნდება დიდი ჯგუფი, რომელიც ჩამოდის თბილისში, იღებს სიკეთეს და ბრუნდება უკან. ამაზე უფრო დიდი პოლიტიკა ქვეყნისთვის რა შეიძლება იყოს? აქ რომ ჩამოვიყვანოთ და ოპერაცია გავუკეთოთ, ამისათვის საჭიროა, ადამიანს პასპორტი ჰქონდეს. მას აქვს აფხაზური პასპორტი. აფხაზურ პასპორტს კი ჩვენები არ ცნობენ. ქართული პასპორტი რომ აიღოს, მისი იდენტიფიკაციაა საჩირო. იდენტიფიკაციას გარკვეული პროცედურები სჭირდება. ეს პროცედურები 3-დან 6 თვეს მოიცავს. ამ დროს, სასწრაფოდ ოპერაცია თუ არ გაუკეთდა, კაცი კვდება.

***— საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტი ხომ აქვს, არ შეიძლება ის გაითვალისწინონ?***

— ზოგს აქვს საბჭოთა პასპორტი, ზოგს ისიც არ აქვს, ახალგაზრდაა და საბჭოთა კავშირის პასპორტი არასოდეს ჰქონია. აქვს აფხაზური პასპორტი. აფხაზეთში ძალიან ცნობილი ოჯახების შვილები ჩამოდიან და გვიკავშირდებიან, დაგვეხმარეთო. ამაზე ჩვენი ხალხი მუშაობს. მამით ქართველი, დედით აფხაზი ბავშვი ჩადის გუდაუთაში. მას აფხაზები ეკითხებიან: რა გვარი ხარ? ის პასუხობს: მე ვარ ქართველი. ის ბავშვი თავისი ქართველობით ამაყობს. აფხაზი მეუღლე ამაყობს იმით, რომ ქართველი (გურული) ქმარი ჰყავს. ის ამბობს: მე მიყვარს ჩემი ქმარი, მინდა ჩემი მშობლები თბილისში ჩამოვიყვანო, აქაურობა გავაცნო, ჩემი მეუღლე მიყვარს და, გვინდა, ერთად ვიცხოვროთ, დამეხმარეთ, რომ ქართული პასპორტი ავიღოო. სახალხო დამცველს დავურეკეთ, ვინ არ შევაწუხეთ, მაგრამ არ კეთდება. ამ საკითხს ჩინოვნიკი ვერ გადაწყვეტს იმიტომ, რომ მას უდევს კანონი, რომელიც ზღუდავს. არ შეიძლება ამ საკითხში რეესტრი დავადანაშაულოთ.

***— ე.ი. კანონია შესაცვლელი...***

— დიახ, კანონი უნდა შეიცვალოს. ამ ხალხისთვის უნდა დაწესდეს განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც მათ საშუალე-

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# პატრიარქის ნათლულთა ოჯახები სამებაში შეიკრიბებიან

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გადაწყვეტილებით, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში მის ნათლულთა ოჯახის წევრები შეიკრიბებიან.

ილია მეორის ინიციატივა მისი უწმინდესობის ნათლულთა ოჯახების დაახლოებას ითვალისწინებს. შეხვედრები ყოველკვირეული ხასიათის იქნება და კვირის დასაწყისში, ორშაბათობით გაიმართება. ჯერჯერობით პატრიარქის ნათლულთა ოჯახების შეხვედრა მხოლოდ თბილისის მასშტაბით ჩატარდება, მოგვიანებით კი ეს ტრადიცია უკვე სრულიად საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.



სპეციალურად ამ შეხვედრისთვის მისი უწმინდესობის ნათლულთა ოჯახებს სასულიერო პირები პატრიარქის მიერ ჩვილების მონათვლის მნიშვნელობაზე გაესაუბრებიან. შეკრებილი ადამიანები შეძლებენ, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და დაახლოვდნენ.

როგორც საქართველოს საპატრიარქოში განმარტეს, ილია მეორის ნათლულების ოჯახებს თავად საპატრიარქოს წარმომადგენლები დაუკავშირდებიან და შეხვედრის თარიღის შესახებ წინასწარ აცნობებენ.

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შეკრებილ ადამიანებს უჩვენებენ ფილმსაც, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მოღვაწეობას და შემოქმედებით ცხოვრებას ეძღვნება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უკვე 8.000-ზე მეტი ნათლული ჰყავს. ბოლო ნათლობა 3 მარტს, წმინდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. ილია მეორემ 2008 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე გაახმაურა ინიციატივა, რომლის თანახმადაც, იგი იქნებოდა ჯვარდაწერილი ოჯახის ყოველი მესამე და მომდევნო შვილის ნათლია. ეს გადაწყვეტილება მისმა უწმინდესობამ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო. კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივა მრევლმა დიდი მოწონებით მიიღო. 2008 წლიდან დღემდე უკვე ჩატარდა 16 საყოველთაო ნათლობა და ყოველი ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო პატარა ილია მეორის ნათლული გახდა.

# ნობელების საქართველოში მოღვაწეობას შვედეთის დელეგაცია შეისწავლის

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრის დელეგაცია სტუმრობს, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდერ ჰიუსბაი ხელმძღვანელობს. ვიზიტის მიზანი საქართველოში ძმები ნობელების მოღვაწეობის ისტორიის შესწავლა და იმ დოკუმენტების გაცნობაა, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივსა და ბათუმის ნობელის ტექნოლოგიურ მუზეუმშია დაცული და შეეხება 1870-1922 წლებში შვედური კომპანიების მუშაობას ჩვენს ქვეყანაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ნობელის საზოგადოების ხელმძღვანელი თომას ტიდენი, ბიზნესის ისტორიის ცენტრის კვლევის ჯგუფის უფროსი პერ დალი, პროგრამის მენეჯერი ჰანს გუსტაფსონი და ბიზნესის ისტორიის ცენტრის არქივისტი ვადიმ აზბელი. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები უკვე შეხვდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გიორგი ვაშაძეს, ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს. შეხვედრებზე შვედი სტუმრები გაეცნენ ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებს.

ვიზიტის ფარგლებში ეროვნულ არქივსა და შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრს შორის გაფორმდა წინასწარი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ძმები ნობელებისა და შვედური კომპანიების საქართველოში მოღვაწეობის ისტორიის შესწავლის საქმეში. მემორანდუმის თანახმად, ეროვნული არქივი სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან ითანამშრომლებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს თანამშრომლობას XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ძმები ნობელებისა და შვედური კომპანიების საქართველოში მოღვაწეობის ისტორიის შესწავლის საქმეში.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შედგა ჩვენს ქვეყანაში ნობელების ოჯახის წარმომადგენლების პირველი ვიზიტი, რომლის შემდეგაც დაიწყება ერთობლივი პროექტი საქართველოს ეროვნულ არქივთან, — აღნიშნა შეხვედრის შემდეგ თეონა იაშვილმა.

შვედი სტუმრები გაეცნენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეროვნულ არქივში ნობელებისა და შვედური კომპანიების მოღვაწეობასთან დაკავშირებით არის დაცული.

22 და 23 მარტს დელეგაციის ვიზიტი ბათუმში გაგრძელდება, სადაც გაეცნობიან ნობელის ტექნოლოგიური მუზეუმის ექსპონატებს და შეხვდებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს, ბათუმის მერს რობერტ ჩხაიძეს, ნობელის მუზეუმის ხელმძღვანელს თემურ ტუნაძეს.

დელეგაცია 24 მარტს დაბრუნდება თბილისში და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეს დავით ცხადაძეს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს ირაკლი მატკავას შეხვდება. ძმები ნობელების ისტორიის შესწავლის პროექტის პირველ ეტაპზე შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრი თანამშრომლობდა აზერბაიჯანის ეროვნულ არქივთან. საქართველოში მუშაობის დასრულების შემდეგ, 2011 წლის მაისში ორივე ქვეყანაში მოპოვებული მასალები განთავსდება სპეციალურ ვებგვერდზე. შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 24 მარტს დასრულდება.

# გურამ რჩეულიშვილის პრემია საუკეთესოებმა მიიღეს

ეკა ირემაშვილი

**მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები გამოავლინეს და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს. პირველი ადგილის მფლობელი ნათია ჯანაშია გახდა.**

გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია უკვე მეორედ გაიცემა და მის ორგანიზებაში საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად დედაქალაქის მერიაც აქტიურად იღებს მონაწილეობას. ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა, თუმცა, მან ბევრი მოთხრობა და სათქმელი დაგვიტოვა. მისი პირველი მოთხრობები ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა და ახალგაზრდა მწერალს უდიდესი წარმატება მოუტანა. უგრამ რჩეულიშვილმა სულ 3 წელი ილვაწა სამწერლო ასპარეზზე. მის სიცოცხლეში მხოლოდ მისი 7 მოთხრობა გამოქვეყნდა. მოთხრობათა პირველი კრებული „სალამურა“ კი მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. მისმა მცირე ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ, რომელიც აერთიანებს მოთხრობებს, ნოველებს, მინიატურებს, პიესას, დიდი კვალი დაამჩნია ქართული პროზის განვითარებას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ და რუსულ ენებზე. მისი სცენარებით გადაღებულია ფილმები „ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“. გურამ რჩეულიშვილი 26 წლის ასაკში გაგრაში ტრაგიკულად დაიღუპა, როდესაც აღელვებულ ზღვაში გადაეშვა და უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენას შეეცადა. ახალგაზრდა მწერლის სახელობის პრემია გასულ წელს დაარსდა.

გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია 18-დან 35 წლამდე ასაკის მწერლებს გადაეცათ. კონკურსში მონაწილეობის სურვილი 200-ზე მეტმა მწერალმა მიიღო. მეორე ტურში 90 ავტორი გავიდა და მათი მოთხრობები ერთ წიგნში გაერთიანდა. კონკურსში გამარჯვებულებს სპეციალური მედლები და ფულადი პრემია გადაეცათ. სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოები კი სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია.

მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:

— ჩემთვის, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უკვე დაარსდა რამდენიმე გამოჩენილი ქართველი პოეტისა თუ მწერლის სახელობის პრემია. არსებობს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემია, გვაქვს გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემია. გურამ რჩეულიშვილი ნამდვილად გამორჩეული ფიგურაა ქართულ მწერლობაში. მან 26 წელი იცოცხლა, მაგრამ სამწლიანი სამწერლო ასპარეზის შემდეგ შეძლო ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნა, რომელიც მკითხველს დღესაც არ ტოვებს გულგრილს. ჩვენ გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიით საუკეთესოთა დაჯილდოების ცერემონიალს უკვე მეორედ ვატარებთ დედაქალაქის მერიასთან ერთად და მიხარია, რომ ამ კონკურსისადმი ინტერესი არ ცხრება.


## განცხადება

**ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობის „გერგეთის“ საყურადღებოდ:**

2011 წლის 28 მარტს, 18 სთ-ზე, ამხანაგობის იურიდიულ მისამართზე, თბილისში, ჭონქაძის ქ. №18 ა-ში გაიმართება ი.ბ.ა. „გერგეთის“ წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხანაგობა „გერგეთის“ თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;
2. ამხანაგობის თავმჯდომარის გადარჩევა;
3. ამხანაგობიდან წევრთა გასვლა და მათი შენატანების უკან დაბრუნება.

**დასწრება სავალდებულოა.**

**ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის „კრწანისი-89, 1-2-კორპუსის“ წევრთა საყურადღებოდ:**

2011 წლის 5 აპრილს, 18 საათზე ტარდება ი.ბ.ა. „კრწანისი-90, 1-2-კორპუსის“ წევრთა საერთო კრება. საერთო კრება ჩატარდება ქალაქ თბილისში, ჭონქაძის ქუჩა №18-ში. დღის წესრიგში დგას ი.ბ.ა. „კრწანისი-90, 1-2-კორპუსის“ რეგისტრაციის განახლება და განახლებული ამხანაგობის ქონების (საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის) სამართალმემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტა. დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის წევრთა საინიციატივო ჯგუფი**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ნახალოვკაში, გადასასვლელ ხიდთან, ახალი რემონტით. ფასი 55.000 დოლარი. ტელ: 96 81 88.

# კოალიციის ძალებმა კადაფის საკომანდო პუნქტი დაბომბეს

ლიბიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის სარაკეტო დაბომბვის შედეგად პოლკოვნიკ კადაფის ერთ-ერთი საკომანდო ცენტრი განადგურდა. ტრიპოლიში ჟურნალისტებს ამ ნაგებობის ნანგრევები აჩვენეს. მსხვერპლისა და დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ლიბიის ოფიციალური პირების განცხადებით, თავდასხმების შედეგად გასული კვირის ბოლოს 64 ადამიანი დაიღუპა, 150-ზე მეტი დაშავდა. ეს ინფორმაცია დამოუკიდებელი წყაროებით არ დადასტურებულა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა განაცხადა, რომ აშშ ლიბიის ოპერაციაში მონაწილე კოალიციის ძალებში წამყვანი როლის თამაშს არ აპირებს.

მისი თქმით, ამერიკელი სამხედროები ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ოპერაციას ან ნატოს ძალები გააკონტროლებენ, ან საფრანგეთი და ბრიტანეთი. ნატოში, იმავდროულად, ლიბიაში ოპერაციასთან დაკავშირებით ერთსულოვნება არ აღინიშნება.

ალიანსმა მხარი დაუჭირა ლიბიისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს, მაგრამ ლიბიის საჰაერო სივრცეში ფრენების აკრძალვის გადაწყვეტილების კონტროლის გადაწყვეტილება თურქეთმა შეაჩერა. საკომანდო პუნქტი, რომელიც ორშაბათს ღამით დაიბომბა, მუამარ კადაფის რეზიდენციის მახლობლად მდებარეობს. მიმომხილველების თქმით, ეს დაბომბვა მიანიშნებს, რომ თავდასხმებისაგან არც პირადად კადაფი არის დაზღვეული, თუმცა, ამერიკელი ოფიციალური წარმომადგენების თქმით, საჰაერო რეიდების სამიზნეს კადაფი არ წარმოადგენს. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, საჰაერო თავდასხმების სამიზნეს საჰაერო თავდაცვის ძალების პოზიციები წარმოადგენდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ბრიტანული „ტორნადოები“ ლიბიაში რეიდიდან რაკეტების სრული კომპლექტით დაბრუნდნენ უკან. როგორც გენერალ მაიორმა ჯონ ლორიმერმა განაცხადა, ეს რეიდის დროს სამხედროებმა მიიღეს ინფორმაცია სავარაუდო სამიზნის ტერიტორიაზე სამოქალაქო პირების ყოფნის შესახებ. აშშ-ს შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის წარმომადგენელმა, ვიცე-ადმირალმა ბილ გორტნიმ განაცხადა, რომ კოალიციურ ძალებს ლიბიაში ჯერ არც ერთი თვითმფრინავი არ დაუკარგავთ. კადაფის წინააღმდეგ მოქმედ კოალიციურ ძალებს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემდეგ ბელგია და კატარიც შეუერთდნენ. ლიბიის საჰაერო სივრცის პატრულირების მიზნით კატარმა ოთხი თვითმფრინავი გაამწესა. ამგვარად, კატარი პირველი არაბული ქვეყანა გახდა, რომელიც პოლკოვნიკ კადაფის წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციაში ჩაერთო.



პენტაგონის წარმომდგენლების თქმით, სამხედრო ოპერაციაში სხვა არაბული ქვეყნებიც შეიძლება ჩაერთონ. იმავდროულად, ფრანგულმა ავიამზიდმა „შარლ დე გოლმა“ ტულონი დატოვა და ლიბიისაკენ გაემართა. დანია და ნორვეგია ლიბიისაკენ თვითმფრინავებს გზავნიან. ესპანეთმა სამი სამხედრო თვითმფრინავი, აგრეთვე ერთი საწვავით გასამართი თვითმფრინავი გამოჰყო. იტალიური სამხედრო თვითმფრინავები ასევე მზად არიან ოპერაციაში მონაწილეობისათვის, კანადამ კი სიცილიაზე ექვსი თვითმფრინავი განათავსა.

არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა ამრ მუსამ კაიროში გამართული პრესკონფერენციის დროს განაცხადა, რომ იგი პატივს სცემს გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც ლიბიის მთავრობის წინააღმდეგ საომარი მოქმედების უფლებას იძლევა.

იმავდროულად, ამრ მუსამ კოალიცური ძალების საჰაერო თავდასხმების მასშტაბები გააკრიტიკა. მისი თქმით, ის რაც ლიბიაში ხდება, ფრენისათვის აკრძალული ზონის კონტროლის ფარგლებს სცილდება და არაბულ ქვეყნებს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა სურს. კაიროში გამართული პრესკონფერენციის დროს ამრ მუსა გაეროს გენერალური მდივნის, პან გი მუნის გვერდით იდგა. გაეროს ხელმძღვანელის მიზნით, ლიბიასთან დაკავშირებულ საკითხებში მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთიანი ფრონტით გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ლიბიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ახმედ შარიფმა გასული კვირის ბოლოს განაცხადა, რომ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის განკარგულება მიიღეს.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი ამ განცხადებას უნდობლობით მოეკიდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ კადაფის რეჟიმმა ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოში რეზოლუციის მიღების შემდეგ მიიღო, გარდა ამისა, თითქმის იმავდროულად, ბენგაზიზე იერიშის განკარგულება გაიცა. თავის მხრივ, ლიბიამ „ფრანკო-ბრიტანო-ამერიკული აგრესიის“ განხილვის მიზნით გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა მოითხოვა. ლიბიის ხელისუფლების განცხადებაში ნათქვამია, რომ ლიბიას თავდაცვის მიზნით სამხედრო ავიაციის გამოყენება მართებულად მიაჩნია. თავად მოამარ კადაფიმ ლიბიელი ხალხისადმი მიმართვაში კოალიციის ოპერაციას „კოლონიალისტების აგრესიული ჯვაროსნული ლაშქრობა“ უწოდა და ლიბიაზე დასავლეთის თავდასხმას ტერორი უწოდა.

ლიბიის ლიდერის თქმით, მისი ხალხი შეიარაღებულია და ლიბიის ნავთობზე დამიზნებული დასავლეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომისათვის მზადაა. გარდა ამისა, ლიბიის ლიდერი დასავლეთს მთელი ხმელთაშუა ზღვის მასშტაბით გაჭიანურებული ომით დაემუქრა და აღნიშნა, რომ საფრთხე ემუქრება ყველა სამხედრო და სამოქალაქო ობიექტს ჰაერში და ზღვაში. მუამარ კადაფის ვაჟმა, სეიფ ალ-ისლამმა ამერიკული ტელეარხის ეიბისის ინტერვიუში საჰაერო თავდასხმებთან დაკავშირებით გაოცება გამოხატა. „დამიჯერეთ, ოდესმე შევრიგდებით და მაშინ მიხვდებით, რომ ვისთვისაც საჭიროა, იმათ არ დაუჭირეთ მხარი და ამით დიდი შეცდომა დაუშვით“, — განაცხადა მან.

სააგენტო ფრანს პრესის თქმით, კადაფის ვაჟმა აღნიშნა, რომ დასავლეთის მოქმედებებით უკმაყოფილების მიუხედავად, ლიბია ხმელთაშუა ზღვაში კომერციული ავიარეისებისათვის ხელის შეშლას არ აპირებს. იმავდროულად, ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, კადაფის ერთგული სამხედროების ხელით ლიბიაში უკვე 8 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ამ განცხადებით „ალ ჯაზირას“ ეთერში ბენგაზის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი აბდელ ჰაფიზ გოდა გამოვიდა.

ბენგაზში გამაგრებული მეამბოხეების თქმით, ათასობით ადამიანი ბრძოლების ზონას ტოვებს და აღმოსავლეთისაკენ მიემართება. გაეროს ლტოლვილთა საკითხების სამხედრო კომისარიატი აცხადებს, რომ ლტოლვილების რიცხვმა 200 ათასს შეიძლება მიაღწიოს.

## როგორი ხასიათი გაქვთ?




***1. მოგწონთ პარტნიორი, რომელსაც:***

ა. ესმის, რომ თქვენ საიმედო ადამიანი ხართ. ბ. მოსწონს, რომ თქვენი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. გ. მოსწონს, რომ ყველაფრის შესახებ საკუთარი აზრი გაგაჩნიათ. დ. რომელსაც მოსწონს თქვენი ჭკუა.

***2. გაღიზიანებთ თუ თქვენი პარტნიორი:***

ა. იგვიანებს. ბ. გიზღუდავთ არჩევანის თავისუფლებას. გ. ხშირად გაკრიტიკებთ. დ. ეჭვი ეპარება თქვენი გადაწყვეტილებების მართებულობაში.

***3. თქვენ პარტნიორს არ მოსწონს თუ თქვენ:***

ა. ცუდ ხასიათზე ხართ. ბ. სიტყვის პატრონი არ ხართ. გ. ცდილობთ მისი აზრის გაგებას. დ. კამათის დროს ხმას უწევთ.

***4. მოგწონთ როდესაც მეგობრები:***

ა. თქვენი წარმატებებით აღტაცებას გამოხატავენ. ბ. უსიტყვოდ გიგებენ. გ. გაბედულ ადამიანად მიგიჩნევენ. დ. გულწრფელად გაფასებენ.

***5. გაღიზიანებთ, როდესაც მეგობრები:***

ა. ალოგიკურად იქცევიან. ბ. რაიმე არ მოსწონთ. გ. მუდმივად „გაშაყირებენ“. დ. წვრილმანებში გატყუებენ.

***6. მეგობრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ რადგან თქვენ ხართ:***

ა. ზედმეტად მოუთმენელი ბ. ზედმეტად კომუნიკაბელური. გ. არასაიმედო პარტნიორი. გ. ყველაფერზე ნერვიულობთ.

**პასუხები**

*პასუხები შეაფასეთ ა. — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა, გ. — 3 ქულა. დ. — 4 ქულა.*

**6-10 ქულა:** თქვენ საიმედო, საღად მოაზროვნე ადამიანი ხართ, ზარმაცი არ ხართ და მიგაჩნიათ, რომ ადამიანი მუყაითი უნდა იყოს. ხართ კარგი ორგანიზატორი.

**11-14 ქულა:** ხართ აქტიური, იმპულსური, გიყვართ მხიარულება. გყოფნით უნარი სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტოთ პრობლემები. მიგაჩნიათ, რომ სიტუაციის მიხედვით უნდა იმოქმედოთ და არა ტრადიციულად.

**14-18 ქულა:** შემოქმედებითი, კომუნიკაბელური ადამიანი ხართ, მიგაჩნიათ, რომ ადამიანი თვითგამოხატულებისაკენ უნდა ისწრაფოდეს. პრიორიტეტს წარმოადგენს ჰარმონია გარემოსთან და საკუთარ თავთან.

**19-24 ქულა:** ობიექტური, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ხართ, გსიამოვნებთ, როდესაც თქვენში კომპეტენტურ ადამიანს ხედავენ.

გ. თ.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნუნუ ჭიჭილეიშვილი, შვილები მანანა, ლელა, ციცია, შვილიშვილები მიხეილ აბსანძე, თამარ, ნინო, დაჩი აბაკელიები, კესო, ნატა კიზივაძეები, სიძეები ვაჟა აბაკელია, ომარ კიზივაძე, ირაკლი აბსანძე, გიგი რურუა, სერგეი მირონოვი, დისშვილები გელა და ლია პირმისაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ ნამგალაური**

პანაშვიდი: 22, 23 მარტს, 17 საათზე, ბახტრიონის 7, II სადარბაზო.

გამოსვენება: 24 მარტს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე მურმანი, შვილები ნათია, ლეკა, შვილიშვილები ირაკლი, ბესი, მარია-ელენა, და მერი, დისშვილი ვიქტორია, სიძეები დავითი, ნიკალა, ალექსანდრე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარიამ თურნავა**

პანაშვიდი: 22, 23 მარტს, 17 საათიდან.

დაკრძალვა: 24 მარტს, 15 საათზე.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 75, III სადარბაზო, III სართული, ბინა 46.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ჰოლანდია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მეძავების დაბეგვრას აპირებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვებს გადასახადების გადახდა შეიძლება დააკისრონ და მისი ოდენობა სხვა პროფესიის წარმომადგენელთა გადასახადების შესაბამისი შეიძლება გახდეს.

ჰოლანდიის მთავრობა უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს დღემდე სხვა სფეროს მუშაკებთან შედარებით დღემდე მოწყალე თვალით უყურებდა, რადგან ისინი სუტენიორებისა და „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეთა მსხვერპლად მიაჩნდათ. ეკონომიკური პრობლემების ფონზე ხელისუფლებმა შეღავათები დაივიწყეს.

ახალი კანონპროექტის თანახმად, დაიბეგრება „სასიყვარულო მომსახურების“ ბიზნესი, რომლის მოცულობა წელიწადში 625 მილიონ ევროდ არის შეფასებული. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ გადასახადების გადამხდელთა რიცხვი ათეულ ათასობით გაიზრდება და სახელმწიფო იმედოვნებს, რომ მეძავები სხვა სფეროების წარმომდგენლების მსგავსად ხაზინას თავიანთი შემოსავლების 33%-ს გადაურიცხავენ.

ამსტერდამში სახელგანთქმული წითელი ფარნების კვარტალი პორნოგრაფიულ გამოფენისა და გასართობი ცენტრის თავისებურ სიმბიოზს წააგავს. ამ კვარტალში „სამუშაოდ“ ახალგაზრდა ქალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან, თანაც, მრავალი მათგანი საკუთარი ნებით არ მოდის.

წითელი ფარნების რაიონი ზონებად არის დაყოფილი, სადაც ქალის შერჩევა ნებისმიერი გემოვნების მქონე კლიენტს შეუძლია.

ჰოლანდიაში პროსტიტუცია 2000 წელს დაკანონდა და მეძავები კერძო ბიზნესის ერთ-ერთი სახეობის წარმომადგენლებად გადაიქცნენ. მას შემდეგ ამსტერდამი ევროპაში სექსტურიზმის ასოციაციას იწვევს.

უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიის ხელისუფლები ამ ასოციაციას აღტაცებაში არ მოუყვანია. 2007 წელს ჰოლანდიის ხელისუფლებმა ამსტერდამის წითელი ფარნებისა და მათი კლიენტებისაგან გათავისუფლება სცადეს.

მიუხედავად ამისა, სექსუალური მომსახურება და სხეულით ვაჭრობა ჰოლანდიაში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან საქმიანობად რჩება. ეს სფერო ამსტერდამში გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ტურისტებსაც იზიდავს. დღეს ამსტერდამის წითელ კვარტლებში სისხლაჩქროლებული ახალგაზრდების გარდა ოჯახური წყვილებიც შეიძლება ნახოთ, რომლებიც შვილების თანხლებით ინტერესით ათვალიერებენ წითელ ვიტრინებში გამოფენილ ქალებს.

ჰოლანდიაში პროსტიტუცია XVII საუკუნიდან „ყვავის“. იმ დროს ჰოლანდია მძლავრი საზღვაო სახელმწიფო იყო, მისი დედაქალაქი კი მნიშვნელოვან საზღვაო პორტად ითვლებოდა, სადაც ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანია იყო დაბინავებული.

დღეს ვითარება ოდნავ განსხვავებულია. ადგილობრივი ბორდელების „შტატში“ ქალების მხოლოდ 25%-ია ჰოლანდიელი, დანარჩენები უცხოელები არიან, რომლებიც ამსტერდამში საშოვარზე აღმოსავლეთ ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებიდან ჩავიდნენ. ხშირად ისინი მხოლოდ ორი-სამი თვის განმავლობაში მუშაობენ და ფულის შოვნის შემდეგ შინ ბრუნდებიან.

ცხადია, ისინი გადასახადებზე არ ფიქრობენ. მრავალი მათგანი არც რეგისტრაციას გადის, რადგან თავიანთი საქმიანობის აფიშირება არ სურთ.

თავად მეძავების თქმით, მეძავებისათვის გადასახადების დაწესება მხლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუკი საზოგადოება მათ მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის და საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად მიიჩნევს მათ.

გ.თ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზებგერითი ამერიკული სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. კუთხე საქართველოში; 11. შენიშვნა, განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. ნახევარკუნძული ევროპაში; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური პოლონეთში; 16. განსაკუთრებული ნიჭი; 17. ზღვის ცხოველი; 19. ცირკის მოედანი; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. მაღალხარისხოვანი მინა; 8. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის, წყლის ყვავილოვანი მცენარე; 12. ისრაელის პარლამენტი; 14. დიდი საცეკვაო საღამო, მეჯლისი; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 16. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი, ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კამელია; 6. დანდური; 8. ჟამი; 9. ტანკა; 10. ივრითი; 11. სილა; 13. აისბერგი; 14. პროზა; 16. აკინი; 18. კათხა; 20. რეკლამა; 21. ტაივანი.

**შვეულად:** 1. ბელადი; 2. მირაჟი; 3. ადიდასი; 4. სინჯარა; 5. კრამიტი; 7. მამლუქი; 11. სკოლა; 12. ნიანგი; 13. ანათემა; 14. პანთერა; 15. პალატა; 17. კარავი; 19. კალა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. დამლა; 2. მადამ; 2. აი; 4. წალდი; 5. ისანი; 6. მონაკო; 7. მთა; 8. რემბო; 9. ჰანდიკაპი; 10. მალამო; 11. მერაბ; 12. კუ; 13. რემა; 14. იგრიკა; 15. იაპონია; 16. სპირტი; 17. პადუა; 18. ნეო; 19. აპართეიდი; 20. მანონ; 21. მემ; 22. ახალუხი; 23. ხასიათი; 24. ბრინკა; 25. არამ; 26. მარაკანა; 27. ლისაბონი; 28. რაია; 29. იხტიბარი; 30. ტაქსა; 31. არბატი; 32. აბი.

**სურათებზე:** კაროლინა დიკმანი; ლუის გარსია.

# თემურ ქეცბაია:
# „ხორვატიასთან ქულაზეც კმაყოფილი ვიქნები“

**საქართველოს ნაკრებს 26 და 29 მარტს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ჩვენები ჯერ ჯგუფის ლიდერს, ხორვატიას დაუხვდებიან, შემდეგ კი ისრაელს ესტუმრებიან.**

სავარაუდოდ, ამ 2 მატჩის შემდეგ გაირკვევა, თუ რა შანსები აქვს თემურ ქეცბაიას შეგირდებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

ნაკრები გუშინ შეიკრიბა, უფრო სწორად, გარკვეული ნაწილი. წესით, დღეს გუნდი სრულად უნდა იყოს თავმოყრილი. პირველად საქართველოს ნაკრები საკუთარ ბაზაზე შეიკრიბა, რომელიც მთლიანად არ არის გაკეთებული, მაგრამ ქეცბაიაც და ფეხბურთელებიც სადღეისო მდგომარეობით კმაყოფილი არიან.

ბაზაზე 2 სტანდარტული მოედანია — ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი. გაკეთებულია საცხოვრებელი ნომრები და კვების ბლოკი. მზად არის გასახდელები და საშხაპეები.

რაც შეეხება გასაკეთებელს: ჯერ ნაკრები ბაზაზეა, ამიტომ დროებით სამუშაოები შეჩერებულია. როგორც კი გუნდი ისრაელში გაემგზავრება, დაიწყება ტერიტორიის კეთილმოწყობა, ცენტრალური მოედნის ცალ მხარეს გაკეთდება 3.000-ადგილიანი ტრიბუნა, გრეჰეტბოლისა და ქვიშის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. დასამთავრებელია საცურაო აუზი და სატრენაჟორო დარბაზები. ეს ყველაფერი მაისის ბოლომდე სრულ მზადყოფნაში იქნება.

ბაზა პრესკონფერენციის დაწყებამდე ნაკრების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა დვალიშვილმა დაგვათვალიერებინა, შემდეგ კი უკვე ჩინებულად მოწყობილ საპრესკონფერენციო დარბაზში შეგვიძღვა, სადაც ჟურნალისტებს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია და ცენტრალური მცველი აკაკი ხუბუტია შეხვდნენ.

***— ხორვატიასთან მატჩის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ, რომ ეროვნულ გუნდს შანსი აქვს ფინალურ ეტაპზე მოხვდეს. თავად როგორი განწყობით ხვდებით ამ მატჩს?***

— პირველ რიგში სასიხარულო ის არის, რომ ნაკრები ბაზას დაუბრუნდა. ყველას მინდა დიდი მადლობა გადავუხადო და განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვინც 24 საათის განმავლობაში მუშაობდა მის გასაკეთებლად. რაც შეეხება მატჩს, ძალიან მნიშვნელოვანია — ბოლოს და ბოლოს, ჯგუფის ლიდერს ვეთამაშებით. გუნდში განწყობა კარგია. მართალია,



ჯერ სრულად არ ვართ შეკრებილი, მაგრამ ვინც ამ დროისთვის იმყოფება, მათი აზრი ვიცი. თამაშისთვის კარგად მოვემზადებით, რადგან ადვილი თამაში არ გველის. ხორვატიის ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და კარგი შემადგენლობა ჰყავს. ჩვენ კარგი ფეხბურთელები გვყავს. ამასთან, ამ მატჩებისთვის გამოძახებულია ყველა ის ფეხბურთელი, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა გააჩნია. ეს ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია. შეკრება 21 მარტს დავიწყეთ, შაბათამდე დიდი დროა და ყველანაირად შევეცდებით, კარგ ფორმაში შევხვდეთ ამ თამაშს. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელები ყველაფერს დადებენ მოედანზე გულშემატკივრების გასახარად. ისიც ვიცი, რომ შაბათამდე მხოლოდ ამ მატჩზე იქნება იქნება ლაპარაკი და მიხარია, რომ გულშემატკივრებს ისევ მოუბრუნდათ გული ფეხბურთისკენ, დაუბრუნდნენ სტადიონს. ამიტომ მათი გაწბილება არ იქნება.

***— ნაკრებს ამჯერად ვერ დაეხმარება მალხაზ ასათიანი, რომელიც გუნდის წამყვან ფეხბურთელად ითვლება. თუ არის მისი სრულფასოვანი შემცვლელი გუნდში და რა პრობლემებს შექმნის მისი არყოფნა?***

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ვერაფერს გავაწყობთ. ახლა უნდა ვეცადოთ, მოედანზე მისი სრულფასოვანი შემცვლელი დავაყენოთ. მალხაზთან საუბარი მქონდა — ფეხბურთელი უგუნდოდ არის, სათამაშო პრაქტიკა არ აქვს და მისი გამოძახება საჭიროდ არ ჩავთვალე. თუმცა, მინდოდა შეკრებაზე ჩამოსულიყო და გუნდთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ არც ეს ხერხდება. ყველაფერს უნდა შევეგუოთ და მისი საქმე სხვებმა უნდა გააკეთონ. პრობლემა მარტო ასათიანი არ არის — სხვაგანაც გვაქვს.

***— რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრავმა აქვს ჯანო ანანიძეს. თქვენ რამდენად ინფორმირებული ხართ ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ანანიძესაც ველაპარაკე, მითხრა, რომ ფეხი სტკივა. თუმცა, ფეხბურთელი ნაკრებთან ერთად აუცილებლად იქნება და აქ გაირკვევა, რამდენად შეძლებს თამაშს.

***— რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელია, შესაძლოა იგივე ხორვატებთან მატჩშიც მოხდეს, ანაც ბარათების გადაჭარბებით რომელიმე ფეხბურთელს ისრაელთან თამაშის გამოტოვება მოუწიოს. საამისოდ თუ გყავთ რეზერვი შეგულებული?***

— რაც აქამდე ფეხბურთელები იყვნენ გამოძახებული, იმათ მხოლოდ ნიკოლოზ გელაშვილი დაემატება.

***— ნაკრებში სათამაშოდ ვერ ჩამოდის მათე ვაწაძე, რომელსაც სავიზო პრობლემები აქვს.***

— ეს უფრო გუნდის არასწორი მიდგომის ბრალია. მათეს ძალიან უნდოდა ნაკრებთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ რუსეთის ტერიტორიიდან რომ გამოვიდეს, მერე ველარ შევა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, გარკვეული დროით სრულიად უპრაქტიკოდ დარჩეს, როგორც ეს თავის დროზე რევაზ ბარაბაძეს დაემართა. ეს საკითხი წესით გუნდმა უნდა უზრუნველყოს და მოაგვაროს ყველა ის პრობლემა, რომ ფეხბურთელს ნაკრებში ჩამოსვლა არ შეუფერხდეს.

***— ისევ მატჩს დავუბრუნდეთ. მართალია, 3 ქულა ყველასთვის სასურველი იქნება, მაგრამ რამდენად მისაღები იქნება თემურ ქეცბაიასთვის ფრე ხორვატებთან?***

— მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ფრე არ დაგვაკმაყოფილებს და არ მესიამოვნება. თუმცა, თუ მოგების შანსი გამოგვიჩნდა, რის დიდ იმედსაც სავსე სტადიონი მაძლევს, ძალიან გვინდა.

***— ხორვატიის ნაკრებმა ბოლო ამხანაგურ მატჩში 4:2 დაამარცხა ჩეხები. თუ ნახეთ ეს მატჩი და რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქის შესახებ?***

— ხორვატებზე საკმაოდ ვართ ინფორმირებულები და თქვენც კარგად იცით, თუ რა დონის ფეხბურთელები ჰყავთ. თუმცა, თამაში ყველა მეტოქესთან შეიძლება. ფსიქოლოგიურად ახლა უკეთ ვართ, რადგან უკვე ჩვენი სახლი გვყავს, საკუთარი ბაზა გვაქვს. გარდა ამისა, ძალიან დიდი იმედი მაქვს გულშემატკივრების. ხორვატებს ყველა რგოლში ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. ფეხბურთელებს გარკვეული დავალებები ექნებათ. ამის გარდა, კიდევ ვაპირებთ რამდენიმე მატჩის ჩანაწერი ვნახოთ და მათი თამაში გავაანალიზოთ.

***— ხომ არ აპირებთ სანაკრებოდ გამოსცადოთ ლევან გვაზავა და გია გრიგალავა და თუ აკვირდებით მათ თამაშებს?***

— აქაც ვიზის პრობლემებთან გვაქვს საქმე და ამ საქმეს მე ვერ მოვაგვარებ. დაკვირვება ყველა ფეხბურთელზე გვაქვს, ვისზეც ხელი მიგვიწვდება — ასეთები კი ასეულობით არის. შანსს ყველა იმ ფეხბურთელს მივცემთ, რომელიც თავის გუნდში თავს გამოიჩენს.

***— ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა მატჩს ფორმაში ხვდება, რადგან სათამაშო პრაქტიკა დიდი აქვთ, ხოლო ჩვენი ფეხბურთელების გარკვეულ ჯგუფს ჩემპიონატები ახლახან დაეწყოთ. ეს გარკვეულ პრობლემას ხომ არ შექმნის?***

— რასაკვირველია, ამ მხრივაც გვაქვს გარკვეული პრობლემა, მაგრამ ბოლო 3-4 კვირის მანძილზე სათამაშო პრაქტიკა ყველას ჰქონდა და ეს გაცილებით ჯობია უპრაქტიკობას. ამჯერად ძნელია, თუ ვინ რა სათამაშო ფორმაში იმყოფება ჩვენს გუნდში, მაგრამ ერთ მატჩში თამაში ყველას შეუძლია. მოტივაცია კი გუნდს ნამდვილად არ აკლია — ჯგუფის ლიდერთან მნიშვნელოვანი თამაშია. ამასთან, ჩვენ და ხორვატები ის გუნდები ვართ, რომელთაც გასულ წელს არ წაუგიათ, ახლა კი ერთ-ერთმა უნდა წააგოს და იმედია ეს გუნდი ხორვატია იქნება.

## ჯოკოვიჩი ლიდერებს დაერია

ინდიანა უელსში გამართულმა საჩოგბურთო ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აქამდე 2 უდიდეს თანამედროვე ჩოგბურთელად მიჩნეულ რაფელ ნადალსა და როჯერ ფედერერს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა — ნოვაკ ჯოკოვიჩი.

სერბი ჩოგბურთელი წელს უნიკალურ ფორმაშია და უკვე მესამე ტურნირი მოიგო. ამასთან, სამჯერვე დაამარცხა ფედერერი, ხოლო ნადალს ერთხელ, ისიც გუშინდელ ფინალში გადაეყარა და მასთანაც გამარჯვება მოიპოვა.

ჯოკოვიჩმა თავისებური რეკორდიც დაამყარა — 1990 წელს დაარსებული „მასტერსის“ ტურნირებში ზედიზედ 20 მატჩი მოიგო, რაც აქამდე არავის გაუკეთებია.

გუშინდელი ფინალის პირველი სეტი ნადალმა 6:4 მოიგო და თითქოს საბოლოო გამარჯვებამდე არაფერი აშორებდა, მაგრამ გადამწყვეტი მეორე სეტი გამოდგა, რომელშიც სერბმა ჩოგბურთელმა 6:3 იმარჯვა, ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა და საქმე ბოლომდე მიიყვანა — ბოლო სეტში 6:2 მოიგო.

— ამჟამად კარიერის საუკეთესო პერიოდი მიდგას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კორტზე ყოვლისშემძლე ვარ. უბრალოდ, ვცდილობ მაქსიმუმი გამოვავლინო და ჯერჯერობით ეს გამომდის, — განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ამ ტურნირის მოგების შემდეგ ჯოკოვიჩმა რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ადგილი გაუცვალა ფედერერს, თუმცა ნადალს ჯერ კიდევ ჩამორჩება. მის გადასწრებას კი უახლოეს „მასტერსის“ ტურნირზე, მაიამიში აპირებს.

იმავე ტურნირის ქალთა ფინალი კაროლინ ვოზნიაცკიმ მოიგო, რომელმაც ფინალში ფრანგი მარიონ ბარტოლი 3 სეტში დაამარცხა — 6:1;2:6;6:3.

## შედეგები

### ფეხბურთი

#### ინგლისი. პრემიერლიგა

სანდერლენდი-ლივერპული ............. 0:2
ჩელსი-სიტი ............. 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 30 | 18 | 9 | 3 | 64:30 | 63 |
| 2.არსენალი | 29 | 17 | 7 | 5 | 59:29 | 58 |
| 3.ჩელსი | 29 | 16 | 6 | 7 | 53:24 | 54 |
| 4.სიტი | 30 | 15 | 8 | 7 | 45:27 | 53 |
| 5.ტოტენჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 41:34 | 49 |
| 6.ლივერპული | 30 | 13 | 6 | 11 | 41:36 | 45 |
| 7.ბოლტონი | 30 | 10 | 10 | 10 | 42:41 | 40 |
| 8.ევერტონი | 31 | 9 | 13 | 8 | 40:39 | 40 |
| 9.სანდერლენ. | 30 | 9 | 11 | 10 | 33:37 | 38 |
| 10.ნიუკასლი | 30 | 9 | 9 | 12 | 44:45 | 36 |
| 11.ფულემი | 30 | 7 | 14 | 9 | 33:34 | 35 |
| 12.სტოკი | 30 | 11 | 4 | 15 | 36:38 | 37 |
| 13.ბლექბერნი | 30 | 9 | 6 | 15 | 39:51 | 33 |
| 14.ას. ვილა | 30 | 8 | 9 | 13 | 37:51 | 33 |
| 15.ბლექპული | 30 | 9 | 6 | 15 | 45:60 | 33 |
| 16.ვესტ ბრომ. | 30 | 8 | 9 | 13 | 41:56 | 33 |
| 17.ვესტ ჰემი | 30 | 7 | 11 | 12 | 36:49 | 32 |
| 18.ვულვზი | 30 | 9 | 5 | 16 | 35:49 | 32 |
| 19.ბირმინგემი | 28 | 6 | 13 | 9 | 27:39 | 31 |
| 20.უიგანი | 29 | 6 | 12 | 11 | 29:48 | 30 |

#### იტალია. სერია ა

ფიორენტინა-რომა ............. 2:2
ბარი-კიევო ............. 1:2
ბოლონია-ჯენოა ............. 1:1
ინტერი-ლეჩე ............. 1:0
სამპდორია-პარმა ............. 0:1
უდინეზე-კატანია ............. 2:0
იუვენტუსი-ბრეშა ............. 2:1
ნაპოლი-კალიარი ............. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 30 | 18 | 8 | 4 | 51:22 | 62 |
| 2.ინტერი | 30 | 18 | 6 | 6 | 56:32 | 60 |
| 3.ნაპოლი | 30 | 18 | 5 | 7 | 46:27 | 59 |
| 4.ლაციო | 30 | 16 | 6 | 8 | 36:25 | 54 |
| 5.უდინეზე | 30 | 17 | 5 | 8 | 56:30 | 56 |
| 6.რომა | 30 | 14 | 8 | 8 | 47:41 | 50 |
| 9.პალერმო | 30 | 13 | 4 | 13 | 45:46 | 43 |
| 8.იუვენტუსი | 30 | 12 | 9 | 9 | 45:38 | 45 |
| 9.ფიორენტინა | 30 | 10 | 11 | 9 | 35:31 | 41 |
| 11.ბოლონია | 30 | 11 | 10 | 9 | 33:37 | 40 |
| 10.კალიარი | 30 | 11 | 6 | 13 | 36:36 | 39 |
| 12.ჯენოა | 30 | 10 | 9 | 11 | 29:33 | 39 |
| 13.კიევო | 30 | 8 | 11 | 11 | 30:32 | 35 |
| 14.პარმა | 30 | 7 | 11 | 12 | 29:41 | 32 |
| 15.კატანია | 30 | 8 | 8 | 14 | 25:40 | 32 |
| 16.სამპდორია | 30 | 7 | 10 | 13 | 25:34 | 31 |
| 17.ჩეზენა | 30 | 7 | 8 | 15 | 25:41 | 29 |
| 18.ლეჩე | 30 | 7 | 7 | 16 | 31:52 | 28 |
| 19.ბრეშა | 30 | 6 | 8 | 16 | 24:38 | 26 |
| 20.ბარი | 30 | 3 | 8 | 19 | 17:45 | 17 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

#### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

დეპორტივო-ლევანტე ............. 0:1
მალაგა-ესპანიოლი ............. 2:0
რასინგი-სოსიედადი ............. 2:1
ხიხონი-ალმერია ............. 1:0
ერკულესი-ოსასუნა ............. 0:4
ბილბაო-ვილიარეალი ............. 0:1
ვალენსია-სევილია ............. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 29 | 25 | 3 | 1 | 81:15 | 78 |
| 2.რეალი | 29 | 23 | 4 | 2 | 69:21 | 73 |
| 3.ვილიარეალი | 29 | 16 | 6 | 7 | 48:30 | 54 |
| 4.ვალენსია | 29 | 16 | 6 | 7 | 42:33 | 54 |
| 5.ესპანიოლი | 29 | 14 | 1 | 14 | 37:41 | 43 |
| 6.ბილბაო | 29 | 13 | 3 | 13 | 44:41 | 42 |
| 7.სევილია | 29 | 12 | 6 | 11 | 43:43 | 42 |
| 8.ატლეტიკო | 29 | 11 | 6 | 12 | 42:39 | 39 |
| 9.მალიორკა | 29 | 11 | 5 | 13 | 30:38 | 38 |
| 10.ოსასუნა | 29 | 9 | 8 | 12 | 34:33 | 35 |
| 11.სოსიედადი | 29 | 11 | 2 | 16 | 39:48 | 35 |
| 12.ლევანტე | 29 | 10 | 5 | 14 | 30:39 | 35 |
| 13.ხეტაფე | 29 | 9 | 7 | 13 | 39:45 | 34 |
| 14.დეპორტივო | 29 | 7 | 10 | 12 | 23:39 | 31 |
| 15.სარაგოსა | 29 | 7 | 9 | 13 | 28:40 | 30 |
| 16.რასინგი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:43 | 30 |
| 17.ხიხონი | 29 | 7 | 11 | 11 | 27:35 | 32 |
| 18.მალაგა | 29 | 8 | 5 | 16 | 38:59 | 29 |
| 19.ალმერია | 29 | 5 | 11 | 13 | 30:48 | 26 |
| 20.ერკულესი | 29 | 7 | 5 | 17 | 25:47 | 26 |

#### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გრანადა-სელტა ............. 1:1
ტარაგონა-ნუმანსია ............. 1:0

#### გერმანია. I ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-შალკე ............. 2:0
შტუტგარტი-ვოლფსბურგი ............. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 27 | 19 | 5 | 3 | 54:16 | 62 |
| 2.ლევერკუზენი | 27 | 16 | 7 | 4 | 56:34 | 55 |
| 3.ჰანოვერი | 27 | 16 | 2 | 9 | 39:36 | 50 |
| 4.ბაიერნი | 27 | 14 | 6 | 7 | 59:34 | 48 |
| 5.მაინცი | 27 | 14 | 2 | 11 | 42:34 | 44 |
| 6.ნიურნბერგი | 27 | 12 | 6 | 9 | 42:36 | 42 |
| 7.ჰამბურგი | 27 | 12 | 4 | 11 | 43:44 | 40 |
| 8.ფრაიბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 34:38 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 27 | 9 | 9 | 9 | 42:39 | 36 |
| 10.შალკე | 27 | 9 | 6 | 12 | 31:33 | 33 |
| 11.კიოლნი | 27 | 9 | 5 | 13 | 37:49 | 32 |
| 12.ვერდერი | 27 | 8 | 8 | 11 | 37:53 | 32 |
| 13.კაიზერი | 27 | 8 | 7 | 12 | 36:43 | 31 |
| 14.აინტრახტი | 27 | 9 | 4 | 14 | 27:37 | 31 |
| 15.შტუტგარტი | 27 | 8 | 5 | 14 | 46:49 | 29 |
| 16.ზ. პაული | 27 | 8 | 4 | 15 | 29:47 | 28 |
| 17.ვოლფსბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:40 | 27 |
| 18.გლადბახი | 27 | 6 | 5 | 16 | 38:61 | 23 |

#### გერმანია. II ბუნდესლიგა

აუე-ფიურტი ............. 0:0
პადერბორნი-ფრანკფურტი ............. 2:2
უნიონი-არმინია ............. 2:2

#### საფრანგეთი. I ლიგა

კაენი-არლე ............. 2:0
მონაკო-ნანსი ............. 0:1
მარსელი-პსჟ ............. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 28 | 15 | 10 | 3 | 49:27 | 55 |
| 2.მარსელი | 28 | 14 | 9 | 5 | 41:24 | 51 |
| 3.რენი | 28 | 14 | 8 | 6 | 32:21 | 50 |
| 4.ლიონი | 28 | 13 | 10 | 5 | 47:26 | 49 |
| 5. პსჟ | 28 | 12 | 9 | 7 | 42:30 | 45 |
| 6.სტ.ეტიენი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:33 | 39 |
| 7. მონპელიე | 28 | 10 | 9 | 9 | 24:30 | 39 |
| 8.ბორდო | 28 | 9 | 11 | 8 | 37:34 | 38 |
| 9.ლორიანი | 28 | 10 | 8 | 10 | 35:34 | 38 |
| 10.ტულუზა | 28 | 11 | 4 | 13 | 29:30 | 37 |
| 11.სოშო | 28 | 10 | 5 | 13 | 40:35 | 35 |
| 12.ბრესტი | 28 | 9 | 8 | 11 | 28:32 | 35 |
| 13.კაენი | 28 | 9 | 8 | 11 | 31:38 | 35 |
| 14.ნანსი | 28 | 10 | 5 | 13 | 30:41 | 35 |
| 15.ნიცა | 28 | 8 | 10 | 10 | 19:28 | 34 |
| 16.ვალანსიენი | 28 | 7 | 12 | 9 | 33:31 | 33 |
| 17.ოსერი | 28 | 6 | 14 | 8 | 32:34 | 32 |
| 18.მონაკო | 28 | 5 | 14 | 9 | 26:29 | 29 |
| 19.ლანსი | 28 | 6 | 10 | 12 | 28:42 | 28 |
| 20.არლე | 28 | 1 | 9 | 18 | 16:55 | 12 |

#### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

დენ ჰააგი-აიაქსი ............. 3:2
ეინდჰოვენი-უტრეხტი ............. 1:0
როდა-ფეინოორდი ............. 3:0
ექსელსიორი-ტვენტე ............. 0:2

#### ჰოლანდია. I დივიზიონი

კამბური-იგლზი ............. 4:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 28 | 18 | 7 | 3 | 72:26 | 61 |
| 2.ტვენტე | 28 | 18 | 6 | 4 | 54:28 | 60 |
| 3.აიაქსი | 28 | 16 | 7 | 5 | 56:26 | 55 |
| 4.ალკმაარი | 28 | 14 | 7 | 7 | 43:34 | 49 |
| 5.დენ ჰააგი | 28 | 14 | 6 | 8 | 55:41 | 48 |
| 6.გრონინგენი | 28 | 14 | 5 | 9 | 54:43 | 47 |
| 7.როდა | 28 | 11 | 11 | 6 | 49:37 | 44 |
| 8.უტრეხტი | 28 | 11 | 8 | 9 | 43:35 | 41 |
| 9.ერაკლესი | 28 | 10 | 7 | 11 | 52:48 | 37 |
| 10.ნაიმეგენი | 28 | 8 | 12 | 8 | 44:47 | 36 |
| 11.ჰერენვენი | 28 | 9 | 8 | 11 | 50:45 | 35 |
| 12.ფეინოორდი | 28 | 9 | 7 | 12 | 37:47 | 34 |
| 13.ბრედა | 28 | 10 | 4 | 14 | 36:49 | 33 |
| 14.გრააფსხაპი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:45 | 33 |
| 15.ვიტესი | 28 | 7 | 8 | 13 | 34:48 | 29 |
| 16.ექსელსიორი | 28 | 6 | 4 | 18 | 32:57 | 22 |
| 17.ვენლო | 28 | 5 | 2 | 21 | 24:59 | 17 |
| 18.ტილბურგი | 28 | 2 | 6 | 20 | 28:75 | 12 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

#### პორტუგალია. ა ლიგა

მარიტიმუ-ოლჰანენსე ............. 4:0
ნავალი-ბეირა მარი ............. 2:2
სეტუბალი-ნაციონალი ............. 2:1

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რატომ არ აძლევენ აფხაზებს საქართველოს მოქალაქეობას

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ბას მისცემს, ვინც ითხოვს, საქართველოს პასპორტი გამარტივებულად მიიღოს. განსაკუთრებით ოჩამჩირის მიმართულებით მაცხოვრებლები გვთხოვენ, დავეხმაროთ ქართული პასპორტების მიღებაში. მათ ძალიან უნდათ ქართული პასპორტების აღება. მათ უნდათ, იარონ დანარჩენ საქართველოში, ჰქონდეთ ურთიერთობა, რადგან ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემები აქვთ. დავეხმაროთ, პასპორტები გავუკეთოთ და დავიახლოვოთ. ეს საკითხი სახელმწიფო დონეზე უნდა გადაწყდეს. პარლამენტში თითქოს რაღაც ცვლილებას გეგმავდნენ, მაგრამ ვინც ამ საკითხშია ჩართული, გვეუბნება, რომ კანონის შეცვლის პროცედურა გარკვეულ დროს მოითხოვს. ჩვენთან ოპერაციები უფრო იაფია. ბევრ მათგანს აქ ნათესავები ჰყავს. არის უფასო ოპერაციების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გაეროსა და ჩვენი თანადაფინანსებით ხორციელდება. ამდენი წელიწადია ვაცხადებთ, რატომ რუსულ პასპორტებს ღებულობენ, ანექსია რატომ ხდებაო. ამ დროს არიან აფხაზები, რომლებიც გვეხვეწებიან, ქართული პასპორტები მოგვეცითო და ჩვენ არ ვაძლევთ. ეს არის სახელმწიფოებრივად გადასაწყვეტი საკითხი, საკანონმდებლო დონეზე.

*— ხელისუფლება მზად არ არის ამ საკითხის დარეგულირებისთვის?*

— ვინ არის მზად არ ვიცი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ეს საკითხი არ წყდება. თუ იმ ადამიანების ინტეგრაცია სურთ, ამისთვის ჩვენ ხომ უნდა გვქონდეს სამართლებრივი და პოლიტიკური სივრცე?

*— ბატონო დავით, გამოსავალი რა შეიძლება იყოს? თქვენი აზრით, მათი პასპორტების აღიარების გარეშე, საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება? ცნობად რომ მიიღონ?*

— ათასნაირი გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს. შეიძლება იურიდიული გამოსავალი მოიძებნოს იმისათვის, რომ გამარტივებულად მოხდეს აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის პასპორტების გაცემა. რის გვეშინია? დღეს აფხაზეთში მაცხოვრებელი ქართველზე გათხოვდა და აცხადებს, ქართული პასპორტი მინდაო. ამას რად უნდა, დედამიწის გარშემო სამი წრის დარტყმა?

# სარეკლამო ვაუჩერიზაცია ვეტერანებს დიდად არ წაადგებათ

გულიკო ბალა ე

ბოლო დროს საქართველოში ვეტერანთა უფლებები საგრძნობლად შეილახა. მათ წაართვეს ყველა შეღავათი, რომელიც დღემდე ჰქონდათ.

ვეტერანთა თოთხმეტმა ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა დამცველი გიორგი თევზაძე ვეტერანთა ომბუდსმენად აირჩია. მომავალში ის შეეცდება ვეტერანთა უფლებების დაცვას.

— ბატონო გიორგი, ვეტერანთა თოთრმეტმა ორგანიზაციამ ვეტერანთა ომბუდსმენად აგირჩიათ. რის გაკეთებას აპირებთ ვეტერანთა უფლებების დასაცავად?

— ერთი კვირის წინ, ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება შედგა, შეიქმნა ვეტერანთა უფლებების დაცვის საბჭო. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მათი უფლებების დაცვა დამევალა. ვეტერანთა უფლებების დაცვის საბჭო მიმართავს თავდაცვის სამინისტროს და პარლამენტს, დაიცვან ვეტერანთა უფლებები, აღდგეს ყველა ის შეღავათი, რომელიც მათ კანონით ეკუთვნოდათ. საჭიროა ვეტერანებს უფრო მეტი შეღავათი და სოციალური გარანტიები მივცეთ. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ომის ვეტერანებს ყოველგვარ შეღავათებს უხსნის. მათ შორის, გააუქმა ჰოსპიტალური დაფინანსება. კიკვიძის სახელობის ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი ვეტერანთა მკურნალობისთვის სახელმწიფოსაგან 800 ათას ლარს ღებულობდა. დღეს ეს დახმარება შეწყვეტილია. ვეტერანები რჩებიან ჰოსპიტალის გარეშე.

— ახლახან ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ვეტერანებისთვის კლინიკა აშენდებაო.

— კლინიკის აშენებამდე ვეტერანებმა რა უნდა ქნან? სად იმკურნალებენ ისინი? ჰოსპიტალი როდის აშენდება? სარეკლამო ვაუჩერიზაცია ვეტერანებს დიდად არ წაადგებათ. ვაუჩერიზაცია ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა სტაციონალურ დახმარებას. თუ ჩვენ გვინდა რეალურად უზრუნველვყოთ პაციანტთა სტაციონალური დახმარება, თუ გვინდა, რეალურად გავაუმჯობესოთ ვეტერანთა სოციალური პირობები, მაშინ დაპირება დეკლარირების დონეზე არ უნდა დარჩეს. ადამიანები, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ (ბევრა მათგანმა ხელი და ფეხი დაკარგა), დღეს დაუცველები არიან. მათ არაფრად აგდებენ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ვეტერანთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ვეტერანები სარგებლობდენ კუთვნილი შეღავათებით. საქართველოში კი, სამწუხაროდ, დამცირებულ და უუფლებო მდგომარეობაში არიან.



— სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველა სფეროში უპასუხისმგებლოდ მოქმედებს. ინფორმაცია მაქვს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რომელთანაც თქვენ ხშირი შეხება გაქვთ, კვლავ მძიმე მდგომარეობაა. კვლავ ადგილი აქვს პატიმართა ცემის ფაქტებს. ამასთან დაკავშირებით პატიმრები ან მათი ახობლები თქვენს ორგანიზაციას თუ მომართავენ?

— სამწუხაროა, რომ პატიმართა ცემის ფაქტები დასტურდება. ჩემს ორგანიზაციას პატიმართა ახლობლებმა არაერთხელ მომართა. ისინი შეწუხებული არიან იმით, რომ ციხეში მათი ოჯახის წევრებს სასტიკად სცემენ. თუმცა, იმის გამო, რომ პატიმრების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ვინაობას ვერ დავასახელებ. ციხეში ფიზიკური ზეწოლის მეთოდებს, ძირითადად, შიშის სინდრომის დასათესად იყენებენ. ჩვენმა ორგანიზაციამ არაერთხელ მიმართა სასჯელაღსრულების მინისტრს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ციხეში შესვლისა და იქ მონიტორინგის განხორციელების უფლება მიეცათ, მაგრამ სამინისტროს ჩვენს მოთხოვნაზე პასუხი არ გაუცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ლოგიკური დასკვნა გავაკეთოთ, რომ ციხიდან გამოტანილი ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება. ზოგჯერ პატიმრების რეალურ მდგომარეობას მათი ოჯახის წევრები საგანგებოდ მალავენ. ვისი მეშვეობითაც ინფორმაციამ ციხის გარეთ გამოჟონა, სწორედ ის პატიმარი სასიკვდილოდ სცემეს.

გუშინ ჩვენს ორგანიზაციაში ერთ-ერთი პატიმრის დედა მოვიდა. მის შვილი სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდის. პატიმრის დედამ გვიამბო, რომ მისი შვილი სასტიკადაა ნაცემი. მას მრავლობითი მოტეხილობა აქვს. ეს ინფორმაცია გადავამოწმე და სიმართლე აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ადვოკატები ვახერხებთ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების რეალურ დაცვას.

— საერთაშორისო ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაცია „ჰუმან რაით ვოტჩმა“ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, სადაც მითითებულია ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევის ფაქტები. თქვენი აზრით, გაიზიარებს თუ არა ხელისუფლება საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციებს?

— „ჰუმან რაით ვოტჩის“ დასკვნაში დევნილთა უფლებების შელახვის, მანიფესტაციების დარბევის, სასამართლოსა და მედიის თავისუფლების შეზღუდვაზეა ლაპარაკი. რა იმედი უნდა არსებობდეს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციებს? ვფიქრობ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები ქაღალდზე დარჩება. ხელისუფლებას არ სურს გაითვალისწინოს საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის შენიშვნები. როგორც ამბობენ, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. რამდენი წელია უკვე უფლებადამცველი ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ შს სამინისტროსა და პროკურატურაში შეიქმნას საზოგადოებრივი მაკონტროლებელი საბჭო, სადაც შევიდოდნენ უფლებადამცველი ორგანიზაციები და განახორციელებდნენ მონიტორინგს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამაზე დღემდე დუმს, რადგან არ სურს რეალურად ადამიანის უფლებები დაცული იყოს.

— მოგეხსენებათ, თითქმის გადაწყდა თურქეთში არსებული მართლმადიდებლური ძეგლების აღდგენის საკითხი, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ამას აჭარაში სამაგიერო მეჩეთების აშენებით ცდილობს და არა იუნესკოს საშუალებით. ერთი სიტყვით, ხელისუფლება აჭარაში ეკლესიებს ანგრევს და მეჩეთებს აშენებინებს. თქვენი აზრით, რა პოლიტიკაა ეს?

— უპირველესად, მივესალმები ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენას თურქეთის ტერიტორიაზე. ქართული ძეგლების აღდგენის საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნეს საპატრიარქოსთან. საქართველოში 300-მდე მეჩეთი ფუნქციონირებს. ამ დროს თურქეთის ტერიტორიაზე ქართულ ისტორიულ ტაძარშიც მეჩეთი ფუნქციონირებს, რაც მიუღებლად მიმაჩნია. თუკი მართლმადიდებლური სარწმუნოება არ ზღუდავს სხვა რელიგიის აღმსარებლებს, რატომ არ სცემს პატივს სხვა აღმსარებლობა მართლმადიდებლურ ძეგლებს. ვფიქრობ, ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელია ისიც, რომ აჭარაში ეკლესიის ადგილას მეჩეთი ააშენეს. აჭარელი მართლმადიდებელი მოსახლეობა შეწუხებულია მოლების ხმამაღალი ყვირილით. გამკითხავი კი არავინაა. ეს ლახავს იქაური მართლმადიდებლების უფლებებს. საჭიროა თურქეთშიც და საქართველოშიც ეკლესიების ფუნქციონირების საკითხი მეგობრულ ჭრილში განვიხილოთ ისე, რომ, არ შეილახოს სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანთა ინტერესები.

## შედეგები

პორტუ-აკადემიკა ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 24 | 22 | 2 | 0 | 56:8 | 68 |
| 2.ბენფიკა | 23 | 17 | 1 | 5 | 46:20 | 52 |
| 3.სპორტინგი | 24 | 10 | 8 | 6 | 33:25 | 38 |
| 4.ფერერია | 23 | 8 | 9 | 6 | 23:25 | 33 |
| 5.გიმარაეში | 24 | 9 | 6 | 9 | 27:31 | 33 |
| 6.ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36:29 | 31 |
| 7.ნაციონალი | 24 | 8 | 7 | 9 | 21:27 | 31 |
| 8.ლეირია | 24 | 8 | 6 | 10 | 19:27 | 30 |
| 9.ბეირა მარი | 24 | 6 | 11 | 7 | 28:28 | 29 |
| 10.მარიტიმუ | 24 | 7 | 7 | 10 | 28:25 | 28 |
| 11.ოლჰანენსე | 23 | 6 | 10 | 7 | 19:25 | 28 |
| 12.რიუ ავე | 23 | 7 | 6 | 10 | 22:26 | 27 |
| 13.აკადემიკა | 24 | 6 | 7 | 11 | 29:39 | 25 |
| 14.სეტუბალი | 24 | 5 | 9 | 10 | 20:33 | 24 |
| 15.პორტიმორ. | 24 | 4 | 7 | 13 | 23:40 | 19 |
| 16.ნავალი | 24 | 3 | 8 | 13 | 20:42 | 17 |

**შოტლანდია. ლიგის თასი**

**ფინალი**

სელტიკი-რეინჯერსი ........ 1:2(დდ)

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-ყუბანი ........ 0:1
ამკარი-ლოკომოტივი ........ 1:0
რუბინი-ტერეკი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუბინი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| 2.კრასნოდარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| 3.როსტოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| 4.ცსკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5.ვოლგა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 6.დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| 7.ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| 8.ლოკომოტ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 9.ნალჩიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 10.ყუბანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 11.ამკარი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 12.ანჟი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 13.კრ.სოვეტ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 14.ტერეკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 15.ტომი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 16.სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ავსტრია ........ 1:1

**ბელგია. პრილიგა**

ანდერლეხტი-გენტი ........ 3:2
ვეტერლო-შარლერუა ........ 2:2
ლიერსი-ბრიუგე ........ 0:0
მეხელენი-ეუპენი ........ 2:0
სერკლი-გენკი ........ 0:1
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ........ 0:2
სტანდარდი-ბეერსხოტი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ბაზელი ........ 1:2
სიონი-თუნი ........ 1:0
იანგ ბოიზი-ლუცერნი ........ 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-პანსერაიკოსი ........ 3:1
ატრომიტოსი-პაოკი ........ 2:2
ირაკლისი-პანიონიოსი ........ 1:1
კავალა-ოლიმპიაკოსი(ვ) ........ 0:1
ქსანთი-ასტერასი ........ 1:0
ლარისა-ერგოტელისი ........ 3:3
ოლიმპიაკოსი(პ)-აეკი ........ 6:0
პანათინაიკოსი-კერკირა ........ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ერჩიესი-ქარაბუქი ........ 1:0
ბუკა-სივასი ........ 0:4
გენჩლერი-ტრაბზონი ........ 1:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბოჰემიანსი 1905-უსტი ........ 1:0
სიგმა-სლავია ........ 0:0
ტეპლიცე-ბანიკი ........ 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბელხატოვი-ლეგია ........ 2:0
ბიტომი-ვისლა ........ 2:2

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

მეტალურგი(ზ)-ტავრია ........ 2:2
დნიპრო-დინამო ........ 1:0
შახტარი-ვოლინი ........ 4:0
არსენალი-ილიჩევეცი ........ 3:1

**დანია. სასლიგა**

ჰერსენსი-რანდერსი ........ 0:0
ლუნგბიუ-ოლბორგი ........ 1:2
ნორდსიელანდი-ესბიერგი ........ 1:2
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ ........ 3:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-სტარტი ........ 0:2
სტაბეკი-ლილესტრიომი ........ 0:7
სტომგოდსეტი-სონგდალი ........ 2:1
ტრომსო-ჰაუგესუნდი ........ 2:0
ბრანი-რუსენბორგი ........ 2:1

**აშშ. მლს**

ჩივასი-კანზასი ........ 2:3
ლოს ანჯელესი-ნიუ იგლენდი ........ 1:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ოლდ ბოიზი-არხენტინოსი ........ 0:2
ველეზ-სან ლორენსო შეწყდა

რასინგი-ესტუდიანტესი ........ 0:1
ბოკა-ოლიმპო ........ 0:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი ........ 98:92
ატლანტა-დეტროიტი ........ 104:96

*ზაზა ფაჩულია: 13 ქულა, 5 მოხსნა*

მილუოკი-ნიუ იორკი ........ 100:95
კლიპერსი-ფინიქსი ........ 99:108
მინესოტა-საკრამენტო ........ 95:127
ოკლაჰომა-ტორონტო ........ 93:95
ჰიუსტონი-იუტა ........ 110:108
დალასი-გოლდენ სტეიტი ........ 101:73
ლეიკერსი-პორტლენდი ........ 84:80

### ჩოგბურთი

**ატპ. ინდიანა უელსი. მასტერსი**

**ფინალი**

ჯოკოვიჩი-ნადალი ........ 4:6;6:3;6:2

**ვტა. ინდიანა უელსი. მასტერსი**

**ფინალი**

ვოზნიაცკი-ბარტოლი ........ 6:1;2:6;6:3

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

პიტსბურგი-რეინჯერსი ........ 2:5
ბუფალო-ნეშვილი ........ 3:4(ოტ)
კოლამბუსი-ნიუ ჯერსი ........ 0:3
მინესოტა-მონრეალი ........ 1:8
ანაჰაიმი-კალგარი ........ 5:4(ოტ)
ფინიქსი-ჩიკაგო ........ 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## TV პროგრამა

**სამშაბათი 22 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 01.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ნაფიცი მსაჯული"** (15) (დ. მური) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია **03.20** მხ. ფ. **"დაკარგული"** (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფ. **"მხსნელი"** **01.00** მხ. ფ. **"სიკვდილის ზღვარზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმღყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერიალი **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ (გან.) **15.30** სერიალი **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერიალი **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერიალი **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** მხ. ფ. **"გადაეცი ტყვია"** (18) (ბ. პექსტონი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერიალი **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.25** ტვ-მარკეტი **11.30** სერიალი **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერიალი **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **00.30** მხ. ფილმი **"განდგომილები"** (15) (ლ. დი კაპრიო) (სუბტ.) **03.00** მხ. ფ. **"კერკეტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერიალი **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერიალი **"მამები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერიალი **"მხოლოდ შენ"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **10.50** ერთსულოვანი ოჯახი **11.15** დოკ. ფილმი "სამშობლო ხარ ჩემი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჩემი ბებია"** **13.30** კონცერტი – ლ. ისაკაე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ნერგები"** **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.30** მოკლემ. ფ. **"ზღარბი"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფ. **"სხვისი შვილები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** წარმატების ფორმულა **00.40** შარავანდედი **01.05** კონცერტი – ენიო მორიკონე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7097 |
| ევრო | 2,383 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7477 |
| რუსული რუბლი | 0,0596 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-13, ღამით — 5-§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-1§, ღამით — §-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 4-8, ღამით — 9-3

## ამინდის პროგნოზი 22 მარტისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## ხორვატებს შესაძლოა ედუარდო შეუერთდეს



ხორვატიის ნაკრები საგულდაგულოდ ემზადება საქართველოს ეროვნულ გუნდთან შესახვედრად. ხორვატთა მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი თბილისში რთულ თამაშს ელის, თუმცა ამის მიზეზად უფრო სავსე ტრიბუნებს ასახელებს.

ცვლილებები არის მოსალოდნელი შემადგენლობაშიც: გუნდს შესაძლოა შეუერთდეს ედუარდო და სილვა. დონეცკის „შახტარის" ფორვარდმა ტრავმა მიიღო და წესით 3 კვირა უნდა გაეცდინა, მაგრამ როგორც ჩანს, მისი რეაბილიტაცია გაცილებით ადრე ხდება და არ არის გამორიცხული, თბილისში მოედანზეც ვიხილოთ.

ტრავმირებულები არიან ლონდონის „ტოტენჰემის" 2 ფეხბურთელი — ლუკა მოდრიჩი და ვერდან ჩორლუკა. თუმცა, მათი მდგომარეობა ედუარდოზე უკეთესია და სათბილისოდ სრულ მზადყოფნაში უნდა იყვნენ.

ბილიჩმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც სიტყვაძუნწი იყო და მხოლოდ მცირე კომენტარით შემოიფარგლა.

— დონეცკიდან კარგი ამბები გვაქვს — გაჩნდა იმედი, რომ ედურადო გუნდს შეუერთდეს. თუმცა, ჯერ ზუსტი პასუხი არ ვიცით, ამიტომ მანამდე გუნდთან ერთად იქნება მარიო მანძუკიჩი. ასევე ტრავმირებულები არიან მოდრიჩი და ჩორლუკა. თუმცა, მათი მდგომარეობა საგანგაშო არ არის. მართალია, 100 პროცენტით მზად არ არიან, მაგრამ შაბათამდე დიდი დროა. პრობლემების მიუხედავად, ჩვენი მიზანი არ იცვლება — თბილისში 3 ქულა უნდა ავიღოთ. ეს იოლი არ იქნება, რადგან მეტოქე მოტივირებული დაგვხვდება და სავსე ტრიბუნების მხარდაჭერა ექნება. თუმცა, მოგება გვჭირდება და სხვა გზა არ გვაქვს, — განაცხადა ბილიჩმა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ჰოლანდია ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მეძავების დაბეგვრას აპირებს



ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით ჰოლანდიის ხელისუფლებმა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ბიზნესს, პროსტიტუციას მიაპყრეს მზერა.

ახალი კანონპროექტის თანახმად, ჰოლანდიელ მეძა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 22 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ტყუპები** — საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, უარი არ თქვათ წარმატებაზე. **კირჩხიბი** — ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ იზარმაცოთ. **ლომი** — არ აღელდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, უფროსობას თვალში მოხვდებით. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, არც სხვა პრობლემები გაწუხებთ. **მერწყული** — არ დასევდიანდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. **თევზები** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



***

ახალგაზრდამ ცოლი მოიყვანა. სამი თვის შემდეგ ქალი ეუბნება:

— საყვარელო, უკვე დროა, მშობიარობა მეწყება.

— კი მაგრამ, როგორ, მხოლოდ სამი თვეა, რაც ვიქორწინეთ.

— დაგავიწყდა, ქორწილამდე სამი თვე ერთად ვცხოვრობდით, სამი — შემდეგ. სამჯერ სამი ცხრაა.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლი სამშობიაროდან ურეკავს:

— ძვირფასო, ზანგი ბიჭი შეგვეძინა.

— როგორ?

— სამშობიაროში რომ მივდიოდით, გზაზე შავმა კატამ გადაგვირბინა, ამიტომ ზანგი ბიჭი დაიბადა.

ახალგაზრდა მშობლებთან მივიდა:

— წარმოგიდგენიათ, სამჯერ სამი ცხრაა და თანაც შავმა კატამ გადაურბინა წინ.

მამა დედას მიუბრუნდა:

— არ გახსოვს, შენ რომ მიმყავდი სამშობიაროში, წინ ვირმა ხომ არ გადაგვირბინა?

გ. თ.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. გემის წინა ნაწილი; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 3. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. უძველესი ქართული სამთავრო შავი ზღვის სანაპიროზე; 6. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 9. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი ისტორიული სამეფო; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 4. მსხლის ქართული ჯიში; 7. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 8. უძველესი ქართული ხალხური პატრიოტული სიმღერა; 12. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 15. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 17. იტალიური ტელეკომპანია; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 21. გემის ტვირთმზიდაობა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

გთავაზობთ

# სუპერპროექტს

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი




გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი